გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N16 (9160) 11 ივნისი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი



## ორი პასუხი ერთი ინფორმაციის გამო

3

## ბუნებრივი ნაპირსამაგრი გუბისწყალზე, ცხენისწყალსა და რიონზე

2

## ერთჯერადი დახმარება წყალში გადაყრილი ფულია

3



## 5 ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

2

## „ერთ წელიწადს თუ ვათრიე წყალი, მე არ გადავრჩები"

2

## სამოქალაქო ოლიმპიადის გამარჯვებული _ თეა მიქელაძე 41 საუკეთესოს შორისაა

7

## სპექტაკლი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებას სჭირდება



4

## ბავშვთა დაცვის დღეს „სახლი თანადგომა" სპეციალური პროგრამით შეხვდა

5

## მხიარულად დალამებული ერთი დღე

5

## სისხლიანი მდინარის წარმოსახვა მას თავს წლების შემდეგაც არ ანებებს

## ერთი ცუდი ქართველი მთელ საქართველოს გაუფუჭებს სახელს

## ინტელექტუალური ჭიდილი „კონსერვატორების" ეგიდით

6

# 5 ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

**ლევან გაბეჩავა**

***თუმცა ისეთი გლობალური საკითხი, როგორიც გარემოს დაცვაა ერთი დღის პრობლემა რომ არაა, ცხადია. წამყვან სახელმწიფოებში ამ თარიღს ერთთვიურებს უძღვნიან, ბევრგან კი ყოველ წუთს ახსოვთ, რომ ბუნებას, გარემოს, დაცვა უნდა და ძალ-ღონეს არ იშურებენ გარემოს გაჯანსაღებისათვის.***

''ყოველი კაცი თავის კუთვნილ ერთ ნაჭერ მიწაზე ყველაფერს რომ აკეთებდეს, რისი გაკეთებაც შეუძლია, რაოდენ მშვენიერი იქნებოდა ჩვენი დედამიწა''.

''არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნებას ყველაზე მეტად ტყე ამშვენებს, მართლაცდა, რა მშვენიერია ის ქვეყანა, რომლის მთა-ბარი ტყით არის შემოსილი.

ჩვენი ქვეყნის მრავალი ადგილის სიტურფე მეტწილად ტყეების გამოისობითაა...''

ბრძენკაცთა ეს და მრავალი სხვა გამონათქვამი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ თითოეულ ჩვენგანს გაცილებით მეტი შეუძლია გააკეთოს გარემოს გაჯანსაღებისათვის, ვიდრე ირჯება ამ მხრივ.

დაპირებულ მილიონ ხეს თავი რომ დავანებოთ, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოწოდება რომ გაგვეთავისებია და თითოეულს 12 ძირი ხე დაგვერგო, ეჭვი არაა, სამომავლოდ ისევ და ისევ ჩვენთვის ჩვენი მომავლისათვის დიდი საქმე გაკეთდებოდა, მაგრამ გავითავისეთ კი?

გახშირებული ღვარცოფები, წყალმოვარდნები, წყალდიდობები, მეწყერი, ხანძრები, დამანგრეველი ქარები, ცუნამი, ტექნიკური კატასტროფები... აუნაზღაურებელ დანაკლისს განაცდევინებს ფლორასა და ფაუნას, გარე სამყაროს.

დიდი ხანია მივივიწყეთ ტერმინი: ტყის შერჩევითი ჭრა, ვჭრით იქ, სადაც მოგვესურვება! არც ნადირობის წესებს ვიცავთ მაინც და მაინც, თუ თოფი და ტყვია წამალი, ქართველური ემოციებიც ჩვენთანაა!

წლების წინ, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფალნი ტრადიციულ თათბირებს იწყებდნენ და ამთავრებდნენ ნაპირსამაგრი სამუშაოების თემით. ამ მხრივ საქმე, ერთი შეხედვით, ადგილიდანაც დაიძრა, თუმცა... შედეგი? თითქმის ნულის ტოლია.

რიონი ისევ ისე იტაცებს ნაყოფიერ მიწებს.



აქაფებულმა შავმა ზღვამაც არაერთხელ დაწყვიტა არტახები და მლაშე წყლით გადარეცხა ხმელეთი...

მსგავს ფაქტებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ანალოგიური ვითარებაა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის სამტრედიაში.

ვცოდავთ ხალხი და არა მარტო ხალხი, ბიუჯეტის საამებლად გარემოს დაცვის სამსახურების ერთკაციანი წარმომადგენლობების გაუქმება (რაიონებში) თავის დროზე დიდზე დიდი შეცდომა იყო.

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება სახეზეა, თუმცა გვაეჭვებს ტყეების ელექტრონული მართვის და სატყეო მეურნეობის გაუქმების მართებულობა რაიონებში. აქ პოლიტიკური სპეკულაციის არც დროა და არც ადგილი.

თუ ყოფილმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, არსებობს გამოუსწორებელი შეცდომა? მაშ, რა ხდება?

''ბუნება ჩვენშია, ჩვენ ბუნებაში ვართ, ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარნიც'' დიდი ერის კაცის ეს სიტყვები ნათლად მეტყველებენ ადამიანის სისხლხორცეულ კავშირზე ბუნებასთან.

კლიმატური პირობების ცვალებადობამ, უარყოფითი კვალი დააჩინა გარემოს, ბუნებას.

თხილის მავნებელი ''კვირტის ტკიპა'' სამტრედიაში და არა მარტო აქ დიდი ხანია დაფიქსირდა, თუმცა შესაბამის სამსახურებში მიმართვიანობამ თხილის ფასის ზრდასთან ერთად იმატა. ''ენვიდორი'', ''მასსაი'' ის პრეპარატებია, რომლებიც მცენარეთა დაცვის საშუალებების მაღაზიებში იყიდება და რომლებსაც რეკომენდაციას სპეციალისტები აძლევენ.

პომიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის... ნერგების დამუშავება ''პრევიკურით'', რათა არ განვითარდეს ფესვთა სიდამპლე, ხელი შეუწყოს მცენარის ზრდას და ა. შ. ახალდარგული და ორი-სამი წლის მანძილზე დარგული ხეხილის დღეგამოშვებით მაინც აუცილებელი მორწყვა და ა. შ. რეკომენდაციათა ნაწილია, რომელსაც ამ ეტაპზე მოსახლეობას აძლევს სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის სამტრედიის წარმომადგენლობის სპეციალისტი ბატონი მიხეილ სხვიტარიძე.

ზაფხული დაიწყო, სამტრედიას სტუმრები მოეძალება, ბაღები და სკვერები ახალგაზრდებით აივსება, ხალხმრავლობა იქნება კაფე-ბარებში, თანდათან მოიმატებს რისკი ეპიდემიების გავრცელებისა.

ამდენად, ვთხოვთ ყველას, დავიცვათ ბუნება, გარემო დაბინძურებისაგან. არანაირ შვებას არ მისცემს ჩვენივე დაუდევრობით გაჩანაგებულ ტყეებს, დაბინძურებულ გარემოს ათობით ჟურნალისტისა და ოპერატორის თანხლებით დარგული, მერე კი ბედის ანაბარად მიტოვებული რამდენიმე მცენარე.

# ბუნებრივი ნაპირსამაგრი გუბისწყალზე, ცხენისწყალსა და რიონზე

**თეა ბაბუნაშვილი**

არასამთავრობო ორგანიზაცია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ''ელკანას'' წარმომადგენლები, რომელიც ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მუშაობს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს იანეთის თემში შეხვდნენ. ამ ორგანიზაციამ სამტრედიაში 9 ჰექტარი ტყე გააშენა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ერთ-ერთი პროექტი ''წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების ქმედითი პრაქტიკის შემუშავება საქართველოში მოწყვლადი მოსახლეობისათვის'' გახდა საფუძველი აგროტყის მასივების გაშენებისა იანეთში, ილორსა და გომში. ძირითადად ნეკერჩხლის, კოპიტის, ცაცხვისა და ტირიფის ხეები დაირგო. სამუშაოები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ტყის კორომები სარგებლობაში გადაეცემა მუნიციპალიტეტს, მით უმეტეს, რომ ისინი მის ტერიტორიაზეა გაშენებული. სოფლის მესვეურები ვალდებულნი არიან, თვალყური ადევნონ და დაიცვან ტყის მასივი, თუმცა, იგი შემოღობილი უკვე არის. ''ტყის გაშენება გადაწყდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი ბუნებრივი ნაპირსამაგრია ახლომდებარე მდინარის პირას. მოგეხსენებათ, ნაპირსამაგრი სამუშაოები ძალიან ძვირი ჯდება, ეს კი იაფი გამოსავალია. ხეთა ფესვურ სისტემას ზრდის დასრულების შემდეგ ამ მოვალეობის შესრულება საუკეთესოდ შეუძლია. გარდა ამისა, ხეები, ანუ დედამიწის ფილტვები არაერთ კარგ საქმეს აკეთებენ. ტყეების გაშენება რომ დღეს განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე მდგარი დედამიწისთვის, უცხო არავისთვისაა.''_ ამბობს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ''ელკანას'' წარმომადგენელი, პროექტის კოორდინატორი, მედეა გაბუნია.



გარდა ამისა, პროექტის ხელმძღვანელის, ვანო წიკლაურის ძალისხმევით, იანეთის მოსახლეობისთვის გამოიყო 2 ათას გრძივ მეტრზე სახნავ-სათესი ფართობების შემოსაღობი მასალა. მისი ღირებულება 26 ათასი ლარია. იანეთის თემის მაჟორიტარი ადგილობრივ საკრებულოში, პაატა კოხრეიძე აღნიშნავს, ''მადლობა მინდა გადავუხადო ამ ორგანიზაციას და მის წარმომადგენლებს. გარდა სოფლისთვის სასარგებლო საქმისა, ურთიერთობაში ძალიან უბრალო, კარგი ადამიანები არიან. ეს მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო. ტყის მასივის გაშენება ერთია და მეორეა ის, რომ მათ მოგვცეს 100 ჰექტრიანი ფართობის შემორაგვის შესაძლებლობა. ის, დაახლოებით, 30 წლის წინ გახლდათ შემოღობილი და მესერი დაზიანებულია. პირუტყვი ნათესებს აჩანაგებდა, დაუცველი იყო და მოსახლეობა არც ამუშავებდა მიწებს. ყველაზე დიდი 25-30 ჰექტარი თუ იხვნებოდა. არადა, მესამე წელია, ქვეყნის ხელისუფლება დიდ თანხებს ხარჯავს მიწების დამუშავებისთვის. წელს კი, იმ იმედით, რომ შემოირაგვება, დიდმა ნაწილმა დაამუშავა ეს ფართობები.''

გამგებლის წარმომადგენელი იანეთის თემში ვაჟა კოხრეიძე იმაზე საუბრობს, რომ ''ამ სავარგულების შემოღობვა სოფელს დიდ პრობლემას უხსნის. ჩვენს სოფელში მოსახლეობა მორიგეობით მწყემსავს საქონელს, თუმცა გამოერევა ისეთებიც, რომლებიც ჯოგში კი არა, ცალკე უშვებენ საძოვარზე. შარშან პირუტყვმა მოსავლის 60 პროცენტი გააფუჭა. ის, რაც ამ ორგანიზაციამ სოფლისთვის გააკეთა, ჰაერივით საჭირო იყო.''

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგებელთან საუბარი ილორში ცხენისწყლისგან შექმნილ პრობლემას შეეხო. ამ ორგანიზაციის მიერ ამავე პროექტით შარშან იქ გაშენებული ტყე მდინარისგან 10-12 მეტრით იყო დაშორებული. ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით წელს მანძილი 2-3 მეტრამდეა შემცირებული. ვალერი ფოცხვერიამ მათ განუცხადა, რომ მისთვის ცნობილია ამ პრობლემის შესახებ. ''ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება ამ მონაკვეთზე ჩვენს ძალებს აღემატება. აქ მდინარე არა მარტო ტყის მასივს, სასაფლაოს უქმნის პრობლემას და ვცდილობთ, იგი სასწრაფოდ მოვაგვაროთ. შესაბამისი წერილით ინფრასტრუქტურის სამინისტროს უკვე მივმართეთ. გვინდა დავაჩქაროთ ამ საკითხის მოგვარება. ერთი სიტყვით, თავადაც დაინტერესებული ვართ მისი სასწრაფოდ გადაწყვეტით.'' გარდა ამისა, ''ელკანას'' წარმომადგენლებს მან მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაჩანაგებული ქარსაფარი ზოლის აღდგენაში დახმარება სთხოვა და აღნიშნა, რომ თუ ისინი ვერ შეძლებენ, მუნიციპალიტეტი საკუთარი ძალებით მაინც უნდა შეეჭიდოს ამ საქმეს. რაც შეეხება აღნიშნულ პროექტს, გამგებელი თვლის, რომ '' ძალიან კარგი საქმე გაკეთდა. ჯერ სავარგულების შემორაგვა, მერე ტყის გაშენება... გარდა ნაპირსამაგრის მოვალეობის შესრულებისა, ტყის გაშენების სიკეთეზე დღეს საუბარი არავის უკვირს. ეს აუცილებელი პროცესი კიდევ უფრო აუცილებლად საჭირო გახდა.''

გუბისწყლის, ცხენისწყლისა და რიონის აუზში მდებარე სამტრედიაში, ნაპირსამაგრი სამუშაოების საჭიროებაზე გამუდმებით საუბრობენ. ამიერიდან კი, ''ელკანას'' წყალობით, ამ საქმეს ბუნებრივი და ყველაზე საიმედო გზით, ახლად გაშენებული ტყეებითაც მოევლება. თანაც, მას შემდეგ, რაც ტყეების გაშენება მივიწყებული საქმეა, ეკოლოგიური კატასტროფა გაუცხოებული ტერმინი აღარ არის დედამიწისთვის.

# ''ერთ წელიწადს თუ ვათრიე წყალი, მე არ გადავრჩები''

**ნინო ნანიტაშვილი**

ტოლების თემში ხმა გავარდა, სასმელი წყალი დაბინძურებულია და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნისო. სოფელი შეშინდა და დახმარებისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა.

რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტის გამგებელი ტოლების თემში გავიდა და ვაზისუბნის ცენტრში მოსახლეობას შეხვდა.

როგორც ადგილობრივების საუბრებიდან გაირკვა, წყლის დაბინძურების შესახებ ინფორმაცია სოფელში ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა. რობერტ კოპალეიშვილი კონკრეტული შემთხვევის შესახებ გვიამბობს. ''ვეღარ ვიხსენებ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის დასახელებას, რამდენიმე დღის წინ ჩვენს სოფელში რომ შემოვიდა, გვითხრეს, სასმელი წყალი უვარგისია და არ მოიხმაროთო. ამას დაემატა ტელეკომპანია ''მაესტროს'' მომზადებული სპეციალური რეპორტაჟი, ამან ადგილობრივებში შიში და პანიკა გამოიწვია. საფრთხე რომ არსებობს, ამაში რამდენიმე თვის წინ დავრწმუნდით. მე, პირადად, ვარ დაზარალებული, როცა ტოლების თემში სასმელი წყლით მოსახლეობის მასობრივი მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა. ამდენად, ძალიან ვართ შეშინებულები და მოვითხოვთ, იმ სათაო ნაგებობის მოწესრიგებას, საიდანაც სასმელ წყალს ვღებულობთ''.

ტოლების თემს სასმელი წყლის პრობლემა რომ აქვს, ადგილობრივი ხელისუფლება ამას არ უარყოფს. თუმცა, გადამეტებულად მიაჩნიათ პანიკა, რომელიც გაღმა ზონაში, დაახლოებით, ერთი კვირის წინ დაფიქსირდა.

ვალერიანე ფოცხვერიამ ვაზისუბნის ცენტრში შეკრებილებს კონკრეტულ საკითხებზე ჯერ მოუსმინა, შემდეგ კი განმარტებები მისცა. ''სამტრედიის მაცნესთან'' კომენტარში ტოლების თემში შექმნილ პანიკას ''გარკვეული გაურკვევლობა'' უწოდა: ''სამწუხაროდ, სასმელი წყლის შემთხვევაში გარკვეულ გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე. არ უარვყოფ, 6 თვის წინ ამ სოფელში ნამდვილად დაფიქსირდა მასობრივი ინტოქსიკაციის ფაქტი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაშინ მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინა მოწამლული ადამიანების მიმართ. დროულად მოხდა სამედიცინო ცენტრში მათი გადაყვანა, მკურნალობა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის სოფლის ექიმზე. ახალგაზრდა ქალბატონმა მისი შესაძლებლობის ფარგლებში ღონისძიებები გაატარა, რის გამოც დადებითი შედეგი მივიღეთ. მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობით გამოირჩეოდა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ილია მჟავია. ანალოგიური სიტუაცია რომ არ განმეორდეს, არა მარტო ტოლებში, მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვამოწმებთ სასმელი წყლის მდგომარეობას. ერთ-ერთი ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ტოლების თემში წყალი სასმელად უვარგისი იყო, გავაფრთხილეთ მოსახლეობა, რომ სასმელი წყალი გადადუღებული სახით მიეღოთ''.



მუნიციპალიტეტის გამგებელი საკუთარ პასუხისმგებლობას ბოლომდე გრძნობს, თუმცა მოსახლეობასთან შეხვედრაზე არ მორიდებია, ეთქვა, რომ პრობლემა ახალ ხელისუფლებას არ შეუქმნია: ''სათავე ნაგებობა რომ ამ მდგომარეობაშია, ამისი მიზეზი ჩვენ არ ვართ. ათეული წელია, რამდენიმე სოფელი ამ წყლით სარგებლობს, აუზი კი კომუნისტების შემდეგ მოუვლელია, არის ხალხი, რომელიც ცდილობს, შექმნილი სიტუაცია

→

# ორი პასუხი ერთი ინფორმაციის გამო

თეა ბაბუნაშვილი

*„სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ სოფელ მტერჩვეულსა და წიაღუბანში ბეტონის ელექტროგადამყვანი ბოძები ნათესაური კავშირით ჩამოარიგა" სამტრედიული მედიასაშუალებებისთვის ეს ინფორმაცია ინტერნეტ_მედია_ჰოლდინგ PKTV.GE _ს მეშვეობით გახდა ცნობილი. მასში საუბარია, რომ სოფელში დასამონტაჟებელი ბეტონის ბოძები გამგებელმა საკუთარი შეხედულებისამებრ „დაარიგა ძველ ნაცნობ-მეგობრებზე." მათ ნაცვლად სოფლის ცენტრალურ გზაზე ხის ელექტროგადამყვანები დამონტაჟდება, რაც სოფლის მოსახლეობის აზრით მალევე გახდება შესაცვლელი.*

*კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით თავად გამგებელს ვთხოვეთ. მასთან საუბარს უცვლელად გთავაზობთ.*



_ ეს ცილისწამებაა. ჟურნალისტმა, რომელმაც ეს ინფორმაცია დადო, უნდა იცოდეს ბოძებთან რა შეხება აქვს გამგებელს. შეგიძლიათ გადაამოწმოთ „ენერგო _ პროჯორჯიას" სამტრედიის ფილიალში. საქმის კურსშიც არ ვიყავი, იქ ბოძებს ასობდნენ თუ არა.

**_ საქმის კურსში რატომ არ იყავით, ეს ხომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაა?**

_ იმიტომ, რომ კომპანია ახორციელებს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას და რა თქმა უნდა, ამას არ გვითანხმებს. რაც შეეხება მოთხოვნას, გარკვეული დაზიანებებისას მივმართავთ და აკეთებენ კონკრეტულ უბნებს. ასწორებენ ყველა იმ ხარვეზს, რაც აღმოსაფხვრელია. ეს თავისთავად.

**_ მაშინ ამგვარი ინფორმაცია საიდან გავრცელდა?**

_ ვერ გეტყვით! აი, თქვენ რომ დაწეროთ ახლა რაიმე ჩემზე...

**_თუ იგი სიმართლეს არ შეესაბამება, მითუმეტეს, ცილისწამება იქნება მომთხოვენ პასუხს. არაერთხელ იმისთვისაც მოუთხოვიათ ჩემთვის პასუხი, რაც სიმართლე ყოფილა...**

_ ვიჩივლო? არ ვიცი საიდან მოიტანა ასეთი ფაქტი. მართლა არანაირი შეხება არ მაქვს ამ საკითხთან.

**_ და მეორე საკითხი, ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით საყურადღებო. ამავე ინფორმაციიდან ვარკვევთ, რომ თურმე სამტრედიის გამგეობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური არსებობს, რადგან, ჟურნალისტმა სწორედ მას მიმართა კომენტარისთვის, რომელიც დღემდე არ აქვთ. არადა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თქვენმა ხელისუფლებამ გააუქმა ეს სამსახური. აღდგენისა კი არაფერი გაგვიგია, ყოველ შემთხვევაში ამ ინფორმაციის წაკითხვამდე...**

_ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, როგორც ასეთი, არ არის, მაგრამ არიან სპეციალისტები ამ სამსახურისა. კონკრეტულად ვის მიმართეს ვერ გეტყვით, ალბათ გამგებლის თანაშემწეს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

**_ მაგრამ, როგორც ჩანს, ასე თუ ისე ითავსებს ამ სამსახურის ფუნქციებს... რამდენჯერმე ჩვენ იგი ვნახეთ ტრენინგზე, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის, პიარ სამსახურის წარმომადგენლები სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან.**

_ საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არ არის ჟურნალისტიკის საქმიანობა...

**_ ეს სამტრედიაში?**

_ რატომ მარტო სამტრედიაში?! ჟურნალისტიკა ერთ-ერთია საზოგადოებასთან ურთიერთობას რომ მოიცავს. ეს უფრო გლობალური სფეროა. ზოგს ჰგონია, რომ აუცილებლად ჟურნალისტი უნდა იყოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური...

# ერთჯერადი დახმარება წყალში გადაყრილი ფულია

ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელთან ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი რეკომენდაციით შევიდა. ლევან ახობაძემ ერთჯერადი დახმარებების გაცემის თაობაზე ვალერიანე ფოცხვერია საქმის კურსში ჩააყენა. სამსახურის უფროსს დანიშვნის დღიდან დღემდე რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა, მუნიციპალიტეტის გამგეობას ერთჯერადი დახმარებები გაეუქმებინა. ლევან ახობაძეს ამის საფუძველს ის კონკრეტული შემთხვევები აძლევდა, რომლებიც მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბოლო თვეებში განახორციელა. სამსახურის უფროსმა გამგებელს ერთჯერადი დახმარებების არაეფექტურობა რამდენჯერმე დაუსაბუთა და იქვე თავისი რეკომენდაცია შესთავაზა: აღნიშნული თანხები მიმართული იქნეს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის: „ერთჯერადი დახმარების გაცემის პრაქტიკა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა რაიონებში არ არის. სოციალურ პროგრამებზე ჩვენს მუნიციპალიტეტში 598 000 ლარია გამოყოფილი. აქედან 105 000 ლარი სამედიცინო მომსახურებისათვისაა განკუთვნილი. 25 000 ლარი _ მედიკამენტებისთვის, 80 000 _ მრავალშვილიანებისთვის, 73 700 _ დიალიზზე მყოფი მოქალაქეებისთვის, 30 000 ლარი _ ხანძრით დაზარალებულთათვის, 32 000 ლარი _ ახალშობილთათვის, 20 000 ლარი _ სტუდენტებისთვის, 15 000 _ ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთათვის, 2 000 ლარი _ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთათვის, 5 000 ლარი _ ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის, 5 000 ლარი _ სოციალურად დაუცველი რეპრესირებულთათვის, 10 000 ლარი _ დედმამით ობოლი ბავშვებისათვის, 15 200 _ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, 75 000 ლარი _ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, 8 000 ლარი _ გარდაცვლილ ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯისთვის, 9 000 ლარი _ უპატრონო მიცვალებულების და დევნილების დაკრძალვის ხარჯისათვის, 12 500 ლარი _ სამამულო ომის მონაწილეთათვის. ამას ემატება 67 000 ლარი, რომელიც მიმართულია განსაკუთრებულ შემთხვევაში გასაცემი ერთჯერად დახმარებებზე. სწორედ ამ უკანასკნელზე მაქვს შენიშვნა და რეკომენდაცია, აღნიშნული თანხა მივმართოთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დანგრეული სახლების აღსადგენად, გადასახურავად, იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებსაც ნამდვილად უჭირთ. მიმაჩნია, რომ ერთჯერადი დახმარებები წყალში გადაყრილი თანხაა."





ლევან ახობაძემ თათბირზე თქვა, რომელი განცხადებებიც მიღებული აქვთ, შეძლებისდაგვარად მოხდება მათი დაკმაყოფილება. რაც შეეხება მომდევნო თვეებს, მისი პოზიციაა, ერთჯერადი განცხადებების მიღება შეწყდეს.

იცის, რომ პოლიტიკურად წამგებიანია, თუმცა თითქმის იგივე აზრზეა მუნიციპალიტეტის გამგებელიც. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ვალერიანე ფოცხვერიამ ლევან ახობაძეს კვერი დაუკრა და იქვე დაამატა: „ერთჯერადი დახმარების ტრადიცია წინა ხელისუფლებისაგან გვერგო. გეთანხმებით, რომ ამ თანხით მეტი სერიოზული საქმის კეთება შეიძლება. ერთჯერადი დახმარების გაცემა არჩევნებში მასების გულის მოგებისათვის იყო მოგონილი. მჯერა, გაჭირვებულებსაც ეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადად სხვა მიზანს ემსახურებოდა. შარშანდელთან შედარებით ერთჯერადი დახმარების თანხა გაზრდილია, უარს ვერავის ვეუბნებით. ზოგმა პენსიასავით გაიხადა. ვეთანხმები ბატონ ლევანს, მაგრამ იქვე ვურჩევ, რომ ამ საკითხს ცოტა ფაქიზად უნდა მოვეპყროთ".

25 ივნისის ღონისძიების შესახებ ტრადიციულ თათბირზე ისაუბრა კულტურის სამსახურის უფროსმა. ნატალია მანჯგალაძემ საბერძნეთიდან შემოტანილი ოლიმპიური ცეცხლის სამტრედიაში გავრცელების გეგმაზე ინფორმაცია გააკეთა: „ყველასათვის ცნობილია, რომ 26 მაისს საქართველოში საბერძნეთიდან ოლიმპიური ცეცხლი შემოიტანეს. 17 ივნისს იგი სტარტს ხარაგაულიდან აიღებს. 25 რიცხვში ხონის მხრიდან სამტრედიაში შემოვა. ჩვენმა სამსახურმა შეარჩია 7 მეჩირაღდნე, დავგეგმეთ კულტურულ-სპორტული მასობრივ-საჩვენებელი ღონისძიებები. პროცესი მაცხოვრის ტაძრიდან დაიწყება და დასრულდება კულტურის ცენტრის წინ მოწყობილ სცენაზე გარმართული კონცერტით. ცეცხლი კვარცხლბეკში განთავსდება, მოგვიანებით ჩოხატაურის მხარისაკენ გაემართებიან".

ხმაური მოჰყვა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ალექსანდრე ლეჟავას გამოსვლას. დიდ ჯიხაიშში გამგებლის წარმომადგენელმა ადგილობრივი ხელისუფლების პირველ პირებს სოფლის გასაჭირი უკვე მერამდენედ შეახსენა. კერძოდ, სულ მცირე ნიავის შემთხვევაში სოფელში ელექტრო-ენერგია ითიშება, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს: „წლებია დენის პრობლემა დიდი ჯიხაიშისთვის აქილევსის ქუსლი გახდა. მხოლოდ ერთს ვითხოვთ: აღდგეს ჭაგნის ქვესადგურში სადღეღამისო მორიგეობა. მრცხვენია, რომ ამდენჯერ მიწევს ერთი და იგივეს განმეორება. არადა, მოსახლეობა პასუხს მე მთხოვს. 20-30 წელია, ეს პრობლემა არსებობს. რამდენიმე სოფელი ერთ ტრანსფორმატორზეა მიერთებული. საკმარისია, ერთ უბანზე მოხდეს დაზიანება, რამდენიმე სოფელი ერთდროულად ითიშება. დაახლოებით 10 წლის წინ გააუქმეს სადღეღამისო მორიგეობის ჯიხური. იქ დასაქმებული ელექტრომონტიორები დაზიანების კერებს ისე აღადგენდნენ, ზოგჯერ მოსახლეობა ვერც კი გებულობდა. 21-ე საუკუნეში ძნელია, ადამიანები მუდმივად დაძაბული გყავდეს, არიქა, ან ახლა გაითიშება დენი, ან ახლაო".

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე აღმოჩდნენ ადამიანები, რომლებიც ამ პირობებში დიდ ჯიხაიშელებს თანაუგრძნობენ. მუნიციპალიტეტის გამგებელი თათბირზევე დაუკავშირდა „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამტრედიის ფილიალის დირექტორს, თუმცა ვალერიანე ფოცხვერიამ გრიგოლ ლეჟავასაგან დამაიმედებელი პასუხი ვერ მიიღო. „მისი პასუხი იყო, რომ დენის გამორთვის შემთხვევები არ არის ინტენსიური, მას მოსახლეობის პრეტენზია გადამეტებულად მიაჩნია. სიტუაციას საგანგაშოდ არ თვლის. მე კი, პირიქით, საგანგაშოდ მიმაჩნია, რადგან მოსახლეობა თვლის ასე. თუმცა არც იმაში მინდა, ეჭვი შევიტანო, რომ „ენერგო-პრო ჯორჯია" ცრუობს. ერთს ნამდვილად ვხედავ, ცდილობენ, პასუხისმგებლობა თავიდან აიცილონ".

←

ჩვენ დაგვაბრალოს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენ არ გავურბივართ პასუხისმგებლობას. მაგრამ ის რაც მემკვიდრეობით მივიღეთ, იოლი შესაცვლელი არ არის. ჩავატარეთ საპროექტო სამუშაოები, შედგა ხარჯთაღრიცხვა, მთელი გაღმა ზონის ქსელის მოწესრიგებისათვის, დაახლოებით, 5 მილიონი ლარია საჭირო. ამის საშუალება ჯერჯერობით არ გვაქვს. პირველ ეტაპზე 680 000 ლარი გამოიყო. თანხა საკმარისია საქლორატოროების დასადგმელად, სათაო ნაგებობის მოსაწესრიგებლად, კერძოდ _ შემოსაღობად. სამუშაოები გაისისთვისაც გაგრძელდება და მაგისტრალები კაპიტალურად მოეწყობა. ასეთ სიტუაციაში ცუდია, როცა მავანი ტეხს აჟიოტაჟს, მოსახლეობა მიტოვებულიაო. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ ასეა _ იმას, რასაც ჩვენ ვაზისუბანში წელს ვაკეთებთ, კომუნისტების შემდეგ არ გაკეთებულა ვგულისხმობ ვაზისუბნის გზას დაფნართან დამაკავშირებელს ნოღამდე".

ტოლების თემში გასული გამგებელი გაზიფიცირების თემაზე საუბარსაც შეეხო. მისი თქმით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ კუთხით პრობლემა აღარ იქნება. ვალერიანე ფოცხვერიამ თავყრილობაზე უახლოეს პერიოდში ბუღნარას ხიდის მოწესრიგებაც დააანონსა.

სამომავლო პერსპექტივებზე საუბრის ბოლოს კვლავ სასმელი წყლის თემას დაუბრუნდნენ და მოსახლეობას პირობა მისცა, ერთი წლის შემდეგ ადგილობრივებს ეს პრობლემა აღარ შეაწუხებთ.

„ერთ წელიწადს თუ წყალი ვათრიე, მე არ გადავრჩები". _ ამბობს ლავრენტი თავაძე. მის მსგავსად შეკრებილთა შორის აღმოჩნდნენ სხვებიც, რომლებიც ამ ინფორმაციამ კმაყოფილი ვერ დატოვა. ბევრმა კილომეტრებიდან ზურგით ნათრევი სასმელი წყალი გააპროტესტა. ახალგაზრდა ქალბატონმა ნათია ცოტაძემ ადგილობრივ ხელისუფლებას დასკვნის პირობა გაახსენა: „გადადუღებული წყლის ხანგრძლივი დროით მიღება ორგანიზმისთვის სასარგებლო არ არის. დასკვნაში წერია, რომ სოფელს სასმელი წყალი ავტოცისტერნებით უნდა მიეწოდოს, ან არადა, სასაქონლო სახით მიეცეს. ვინმემ იკითხა ამის შესახებ, მივიღეთ თუ არა?"

რამდენად შეესაბამება ნათია ცოტაძის განცხადება სინამდვილეს და როგორ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ადგილობრივი ხელისუფლება, ამაზე კითხვით „სამტრედიის მაცნემ" ვალერიანე ფოცხვერიას იქვე მიმართა. მუნიციპალიტეტის გამგებლის განმარტებით, დასკვნაში მხოლოდ საბავშვო ბაღებზე და საჯარო სკოლებზე ეწერა, თუმცა ამ ეტაპზე საშუალების არ ქონის გამო ეს უკანასკნელი არ ხერხდება.

# სპექტაკლი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებას სჭირდება

***2015 წლის 2 ივნისს სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში ესპანელი დრამატურგის ალეხანდრო კასონას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის ''ველური'' პრემიერა შედგა. ვეფხია ნადირაძის მორიგ რეჟისორულ ნამუშევარს არც მშობლიურ ქალაქში დაჰკლებია მაყურებელი და არც მის გარეთ...***



ფესტივალ ''თეატრალური იმერეთის'' ფარგლებში, 3 ივნისს, სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე აღნიშნული დადგმით წარსდგა.

ცეცხლოვანი ესპანური მუსიკა შეგვიძღვა უხვადდეკორირებულ სივრცეში. მდიდრულად მოწყობილი ფიცარნაგი, დახვეწილი მორთულობა ადვილად მისახვედრს ხდიდა ჯერ კიდევ უცნობ იდილიას. მოსამსახურე ''ეუსებიომ'' (მერაბ ლორია) ქალბატონს უხმო და ძუნწი, მაგრამ საოცრად მეტყველი ფრაზებით უმალ ჩაგვახედა საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელთა ერთ-ერთი ოჯახის ყოფაში.

გამოჩნდა დიდი სახლის დიდი დიასახლისი, უფრო სწორად კი _ დიდებული. ''მატილდა'' (ლორიტა ჯორჯიკია) და ''ანხელინა'' (ირინა მაჭავარიანი) სპექტაკლის დასაწყისშივე გამოვლენილი ენერგიული, მიზანსწრაფული მამიდების თვისებებით ამახსოვრებენ თავს მაყურებელს. მაგრამ სად არის მათი ცხოვრების უმთავრესი საზრუნავი, საყვარელი ძმის მოსაგონებლად დარჩენილი უკანასკნელი იმედი, მისი ვაჟი, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ფამილარობა, ბოროტება, სისასტიკე და რომლის ირგვლივ ვითარდება სპექტაკლის თითოეული ეპიზოდი. ის ხომ ბუნების შვილია, მთაში, უცივილიზაციოდ გაზრდილი ველური არსება.

ორ მოქმედებიან წარმოდგენაში მსახიობები: მაია ამაღლობელი ''მარგა'', ბესიკ ღირდალაძე ''ხულიო'', გიორგი სტურუა ''როლდანი'', როლეზ გოგიშვილი ''პროფესორი'', მაყვალა ტკაცირია ''ლულუ'' და მარიამ ჩაჩუა ''ფიფი'' საინტერესოდ ავითარებენ სპექტაკლის ძირითად ხაზს. რაც უფრო რთული ხდება ველური ''პაბლოსთვის'' (ირაკლი კვერხელიძე) ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული დაპირისპირების მიზეზის ახსნა, მის ირგვლივ მყოფნი მით უფრო მეტი სიმძაფრით აგრძნობინებენ მას ამ ყველაფრის საზრისს.

სპექტაკლის ფინალურ ნაწილში პაბლო აღმზრდელი მარგას პირისპირ მარტო რჩება. ფსიქოლოგიურად დატვირთულ ეპიზოდში ადამიანურ წვრილმანებს სიყვარულის იდუმალი გრძნობა სძლევს, გრძნობა, რომელიც პიროვნული მანკიერებებით დამძიმებულ დედამიწას ატრიალებს. სპექტაკლმა მაყურებელში თანაგანცდა უდავოდ გამოიწვია და იყო ტაში...



6 ივნისს, მესხიშვილის თეატრში ფესტივალ ''თეატრალური იმერეთი 2015''-ის დახურვა გაიმართა. კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის წევრები: თეიმურაზ ლანჩავა, ნერონ აბულაძე და ლაშა ჩხარტიშვილი (ჟიურის თავმჯდომარე) გახლდნენ, ნომინაციაში ''საუკეთესო მუსიკალური გაფორმება'' გამარჯვებულად სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლი ''ველური'' (მუსიკალური გაფორმება დემურ სულაბერიძე) დაასახელეს.

რაც შეეხება ირაკლი კვერხელიძეს, იგი საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა ეროვნული აკადემიისა და საზოგადოება ქუთაისელის მიერ, სპექტაკლ ''ველურში'' მამაკაცის როლის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისათვის დაჯილდოვდა.

იმერეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, ფესტივალის დამფუძნებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, ბატონი ლევან როხვაძის თქმით: _ ''თეატრალური იმერეთი'' ყოველთვის დიდი სიხარულით მასპინძლობს სამტრედიასა და სამტრედიელებს. ინოვაცია არაფერია ტრადიციის გარეშე. გზა, რომელიც ეროსი მანჯგალაძემ, აკაკი კვანტალიანმა, ვახტანგ ნინუამ... თავიანთი შემოქმედებით გაკვალეს, სახელოვნ-



ად უნდა გაგრძელდეს.

წლევანდელ ფესტივალზე წარმოდგენილ 14 სპექტაკლს 10 თეატრალური კრიტიკოსი აკვირდებოდა, რომლებმაც პროფესიული თვალსაზრისით მართებულად, რაციონალურად გადაწყვიტეს სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულთა ვინაობა.

''სამტრედიის მაცნესთან'' საუბრისას ჟიურის თავმჯდომარემ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა აღნიშნა: ''სამტრედიის თეატრმა ის სპექტაკლი გვიჩვენა, რომელიც დღეს მაყურებელს სჭირდება. ჩვენს საზოგადოებას უყვარს თავგადასავლები და სწყურია პოზიტივი, ასეთი დრამატურგიული მასალა კი ალეხანდრო კასონას პიესებია. ''ველური'' იშვიათად იდგმება ქართულ თეატრში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატულმა თეატრმა მაყურებელს ნამდვილი სიურპრიზი მოუწყო ამ სპექტაკლის სახით, სადაც იქმნება შთამბეჭდავი სამყარო. ვფიქრობ, სამტრედიის თეატრს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე ეს წელს, ფესტივალზე წარმოჩნდა. ამიტომაც, წარმატებას ვუსურვებ მას მომავალშიც.''

***შოთა პაპავა***

# ღანირელთა ''სამაია''

**ლევან გაბეჩავა**

### ხელოვნებაა თავად უკვდავება...

***სრული ჭეშმარიტებაა, შემოქმედს, ხელოვან ადამიანს სწორედ მისი შემოქმედება ხდის საზოგადოებისათვის ცნობილ სახედ, ათეული წლების შემდეგ კი უკვდავჰყოფს მას.***

***დღეს მოკლედ ვისაუბრებთ იმ სამტრედიელ ქალბატონებზე, რომელთაც ფანტაზიისა და მარჯვე ხელების წყალობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ამ ქალბატონებს ერთი საერთოც აქვთ, ისინი სამტრედიელები, ღანირლები არიან და საზოგადოებისათვის ''ღანირელთა სამაიას'' სახელით არიან ცნობილნი.***

**ქალბატონი ნანა მანჯგალაძე** საქართველოში შეიძლება მიჩნეული იქნას დასავლური ყაიდის პირველ ქალბატონად.

სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს წარმომადგენლობაში. საზოგადოება მას როგორც მხატვარს ისე იცნობს და ამაში საკვირველი არაფერია. თავად ის ფაქტი, რომ ქალბატონი ნანას შემოქმედებით ინტერესდებიან ''მხატვართა საერთაშორისო ფედერაცია'' და ''საერთაშორისო სამხატვრო ფონდი'', ბევრის მთქმელია.

ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი ის ქვეყნებია, სადაც სხვადასხვა წლებში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენები, რომელთაც დიდი მოწონება და შეფასება დაიმსახურეს.

ქალბატონი ნანა მანჯგალაძე რუსეთის მხატვართა კავშირის წევრია. მის შემოქმედებაში იგრძნობა ქართული, ეროვნული სული, მშობლიური კუთხის ნოსტალგია და მშვენიერების საოცარი აღქმა.

**ქალბატონი ტურფა ოდილავაძის** შემოქმედებაზე ჩვენი გაზეთი წლების წინ წერდა. ისიც სამტრედიელი, ღანირელია. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციაში იმუშ-



ავა. აისი და დაისი, მოარული ღრუბლები, პალმის რტოები, გირჩები ხელოვან ქალბატონში ასოციაციებს აღძრავდა და...

ქალბატონი ტურფას შედევრები ფუნჯისა და საღებავის ნაცვლად თევზის, განსაკუთრებით ლოქოსა და ბრტყელშუბლას ფხის, ძვლებისა და ფარფლისაგან იქმნება, რაც იშვიათობაა.

''ესპანელი ბიჭუნა'', ''წერო'', ''ნიკო ფიროსმანი'', ''ჩარლი ჩაპლინი''... მისი ის ნამუშევრებია, საყოველთაო მოწონება და აღიარება რომ მოიპოვა და ხელოვან ქალბატონს სახელი გაუთქვა.

საოცრად ემაყება ქალბატონ ტურფას ის, რომ ''ღანირელთა სამაიას'' წევრია. ვინც მის შედევრებს გაეცნობა, დარწმუნდება იმაში, რომ საზღვარი არ გააჩნია ადამიანის ფანტაზიას, ხელოვანის მთელი შემოქმედებაც ხომ ამის ნათელი დასტური, მკაფიო გამოხატულებაა.

**ქალბატონი დინარა ღაღანიძე** ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ. სხვადასხვა წლებში იმუშავა საქართველოს პროფსაბჭოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში. საზოგადოებისათვის იგი ცნობილია, როგორც მხატვარი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებულ გამოფენებში, მინიჭებული ჰქონდა ფესტივალის ლაურეატის, მხატვართა კავშირის ხალხური ოსტატის წოდება და არჩეული იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრად.

ფერთა ჰარმონიულობა, სინატიფის აღქმის საოცარი ნიჭი განაპირობებდა იმას, რომ ქალბატონი დინარა ღაღანიძის გამოფენებით ყოველთვის ინტერესდებოდა საზოგადოება, სპეციალისტები კი მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

''ღანირელთა სამაიას'' ღირსეული წევრი 2010 წელს გამოაკლდა ოჯახს, საზოგადოებას.

ქალბატონებს, ნანა მანჯგალაძეს, ტურფა ოდილავაძეს, დინარა ღაღანიძეს გარდა ღანირლობისა, საერთო აქვთ ის, რომ სამივენი ცნობილი ხელოვანები არიან, თვითმყოფადი ნიჭით მირონცხებულები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარების მამულიშვილურ საქმეებში.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ ტურფას, ქალბატონ ნანას, ნათელში დაავანოს უფალმა ქალბატონი დინარას სპეტაკი სული.

ხელოვნებაა თავად უკვდავება...




## კახი კავსაძე _ 80
## გალერეა ''ვაჩეს'' ორიგინალური მილოცვა

საყოველთაოდ აღიარებული მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, კახი კავსაძის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა გალერეა ''ვაჩეში'' გამართული საიუბილეო გამოფენა, სადაც ქართველი და უცხოელი კარიკატურისტების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

დინ ჯონსის (კანადა), მაციო მარიანის (იტალია), ჯერარდო ტარესის, (მექსიკა), არტურო ალმეიდას (პანამა)... ნამუშევრების გვერდით გამოფენილი იყო ცნობილი ქართველი კარიკატურისტების: ბესიკ დულაშვილის, ზალიკო სულაკაურის, გიორგი გამეზარდაშვილის (გამეზა), ნიკა კემულარიასა და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, ახალგაზრდა ნიჭიერი კარიკატურისტის, შოთა პაპავას ნამუშევრები, რაც უდავოდ დიდი პატივი და აღიარებაა მრავალმხრივი ნიჭით მირონცხებული ახალგაზრდისა.

გამოფენას, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ორგანიზება ბესიკ დულაშვილმა გაუკეთა.

ლეგენდარული მსახიობის, კახი კავსაძისადმი საზოგადოების დიდ სიყვარულსა და აღიარებაზე მეტყველებს ყოველივე.

***ლევან გაბეჩავა***

სამტრედიის მაცნე



# მხიარულად დაღამებული ერთი დღე

თეა ბაბუნაშვილი

***სანამ მოვყვებით, როგორ აღინიშნა ბავშვთა საერთაშორისო დღე საქართველოში და სამტრედიაში, იმაზეც ვთქვათ, ბავშვთა უფლებების დაცვაზე ხმამაღლა ალაპარაკებული არასამთავრობოებისა და უფლებადამცველების "პროტოკოლით გათვალისწინებული" დირექტივების გარდა, ბავშვთა სიღარიბით, სწავლისა და დასვენების შესაძლებლობებით ერი, ბერი თუ სახელმწიფო ნაკლებად რომ ინტერესდება. თუ მკაცრად, უფრო მეტიც, არასწორ ფორმულირებად ჩავთვლით, სტატისტიკას გადავხედოთ, როგორ ცხოვრობს მოზარდების დიდი ნაწილი ქვეყანაში. გავიხსენოთ, რომ მათი კეთილდღეობა პირდაპირ პროპორციულია მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობისა.***

***მაგრამ, რადგან ამ წერილის მისია სადღესასწაულო განწყობის შექმნაა, რა თქმა უნდა, იმაზე, როგორ აღინიშნა პირველი ივნისი სამტრედიაში ბავშვთა დაცვის დღეც.***

ახმაურებულ "მომავლის პარკს" ჟრიამული სულ უფრო ავსებდა. დიდები და პატარები მხიარული განწყობით მოედვნენ ატრაქციონებს. მათი უმრავლესობა პარკის შესასვლელში შეჯგუფდა, რადგან სწორედ იქ, ღია ცის ქვეშ მიკი და მინი მაუსებმა, ტომი და ჯერიმ, იხვმა დონალდიმ, მაშა და დათვმა, კიდევ ერთხელ გაამხიარულეს ბავშვები და ზღაპრების ვირტუალური სამყაროდან სწორედ ამ ადგილას გადმოინაცვლეს. ბავშვური სიცილი, მხიარულება და ჟრიამული, ჩვილების ტირილიც კი, იქ უნდა გენახათ. თოჯინებმა და პატარებმა ამჯერადაც ადვილად გამონახეს საერთო ენა და ბავშვურ ბედნიერებას სხვა რაღა სჭირდებოდა. გარდა ამისა, ფერადი ბუშტები საჩუქრად დაურიგეს მათ. ასე გაფერადდა ცა "მომავლის პარკის" წინ ფერადი მომავლის დასამკვიდრებლად. თოჯინების თეატრის წარმოდგენა ზღაპრის გმირებთან ცეკვა-სიმღერის შემდეგ პატარა შესვენებად გამოუვიდათ ბავშვებს. ამ ჯადოსნურ სამყაროში ისინი ქუთაისის გასართობი ცენტრის "კუბიკრუბიკი" მსახიობებმა მოახვედრეს, რომლებიც მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოწვევით ჩამოვიდა სამტრედიაში. ამ სამსახურის ორგანიზებით კიდევ არაერთი მხიარული სანახაობა გაიმართა ბავშვებისთვის. ერთი დღე, მხიარულად დაღამებული სწორედ მათი საჩუქარი იყო სამტრედიელი პატარებისთვის.









დღის ცენტრ "ლამპარის" აღსაზრდელები, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები, თანატოლებთან ერთად ერთობოდნენ მომავლის პარკში.

მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეის მოსწავლეები პლენერზე ათასი ფერით ხატავდნენ ბავშვობის უდარდელობას, ხატავდნენ რეალობასაც, პატარა გულებში დარდად ჩარჩენილს.

ბავშვური სურვილებით მოიხატა ასფალტიც ცარცით. განსაკუთრებულად წარმოჩნდა მართლმადიდებლური სკოლა, არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ადამიანი გაჭირვებაში" ერთად განხორციელებული პროექტით. მინი სანერგე მეურნეობაში გამოყვანილი ყვავილების გამოფენა-გაყიდვა ამ პროექტის მიზანი და შედეგი გახლდათ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი მიიზიდა.

მხიარულად დასრულდა სამხიარულოდ გათენებული ერთი დღე. ღმერთი ინებებს, ასეთი მრავალი იყოს ამ პატარების ცხოვრებაში, რათა მათი და ქვეყნის უამრავი ხვალე ამ დღესავით ნათელი და ბედნიერების ღიმილით გაბადრული გათენდეს!

# ქველმოქმედება შშმ პირებისათვის

ნათია ნაცვლიშვილი





ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა. მისი ორგანიზატორი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებისა და დახელოვნების ლიგაა. კონცერტში მონაწილეობდნენ: შშმ მქონე პირთა დახმარებისა და დახელოვნების ლიგის დამფუძნებელი ხვიჩა სიმონია, პროექტ "ნიჭიერის" ფინალისტი, ნატალი ვეფხვაძე, 9 აპრილის მონაწილე, ლელა ვეფხვაძე. ეს ის ქალბატონია, 9 აპრილს ტანკებს რომ სიმღერით შეეგება. მისმა ნამღერმა, "დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს", ახლაც ემოციით დამუხტა მსმენელი.

ღონისძიებაში ასევე მიიღეს მონაწილეობა სტუმრებმა ფოთიდან, პაატა გარუჩავამ და ბექა ჯოხაძემ, ეს უკანასკნელი რადიო "არ დაიდარდოს" ათეულში მერვე ადგილზეა, საღამო კი დარეჯან გრძელიშვილს მიჰყავდა.

კონცერტზე შემოსული თანხით დაეხმარნენ სამტრედიაში მცხოვრებ შშმ პირებს, გადასცეს საჩუქრები. შშმ ლიგას გვერდით დაუდგნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობა და იმერეთის რეგიონის რკინიგზის პროფკავშირები.

გიგა კუპრავას გადაეცა პლანშეტი, გიგა ამ ღონისძიებაზე გამგებლის მოადგილის, ლიზა კრავეიშვილის და კულტურის სამსახურის უფროსის, ნატალია მანჯგალაძის წარდგინებით მოხვდა. სოფია გრიგოლიას კი ეტლი გადასცეს საჩუქრად.

რკინიგზის პროფკავშირებმა დაასაჩუქრა მტვერსასრუტით 26 წლის ალექსანდრე ძიძიგური, ხოლო პლანშეტით _ თაია ლისენკო.

ხვიჩა სიმონია, საღამოს ორგანიზატორი:

"ჩვენი ორგანიზაცია 15-20 წელია ფუნქციონირებს. ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით ვეხმარებით შშმ მოქალაქეებს. მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს, რკინიგზის პროფკავშირებს და იმ ადამიანებს, ვინც ამ კეთილ საქმეში მონაწილეობდა.

"ძალიან კეთილი საქმე გაკეთდა. ჯერ კიდევ ახალ წელს გიგლა კუპრავასთან სტუმრად ყოფნისას მე და ნატალია მანჯგალაძე დავპირდით მას, რომ პლანშეტით დავასაჩუქრებდით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებისა და დახელოვნების ლიგასთან ერთად მას ეს ოცნება ავუხდინეთ. პირადად მომმართა სოფია გრიგოლიას დედამ ეტლის თხოვნით, მივმართე ლიგას და პრობლემა მოვუგვარე. დიდი მადლობა ლიგას და რკინიგზის პროფკავშირებს".

_ აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა.

# ბავშვთა დაცვის დღეს "სახლი თანადგომა" სპეციალური პროგრამით შეხვდა

ნათია ნაცვლიშვილი

ერთი სოფლიდან არიან. საერთო კიდევ ის აქვთ, რომ ორივეს უნარშეზღუდული შვილები ჰყავთ. 16 წლის ანა ჩხაიძეს და 14 წლის გივი ჩაჩუას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლაში არასოდეს უვლიათ, თუმცა, ერთიცა და მეორეც სახლში მშობლებს საოჯახო საქმეების კეთებაში აქტიურად ეხმარებიან.

ქალბატონები მანანა ჩაჩუა და ხათუნა კეთილაძე 3 ივნისს გომიდან სამტრედიაში სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ მათი შვილების სახელებზე მომზადებული ამანათები აეღოთ.

მეოთხე წელია, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მუშაობს პროგრამა, რომლის ფარგლებში "სახლი თანადგომა" უნარშეზღუდულ ახალგაზრდებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საჩუქრად საკვებ პროდუქტებს უმზადებს.

გამონაკლისი არც წლევანდელი პირველი ივნისი ყოფილა. აღნიშნული ფაქტის შესახებ ბენეფიციარებს წინასწარ ეცნობათ. მთელი კვირის განმავლობაში მათ უფასო სასადილოს შენობაში მისვლისა და იქიდან ამანათების გატანის შესაძლებლობა მიეცათ.



გაზეთი "სამტრედიის მაცნე" უფასო სასადილოში იმ დროს მივიდა, როცა მანანა ჩაჩუასა და ხათუნა კეთილაძეს კუთვნილი ამანათები გაჰქონდათ.

"ოჯახში დედამთილი, მეუღლე და ორი შვილი მყავს. ყველანი უმუშევრები ვართ. მხოლოდ დედამთილი იღებს პენსიას. 250 ლარიანი შემწეობის ამარა ვართ. ოთხი წელია, გივის სახელზე ამანათს ვიღებთ, რომლითაც რამდენიმე დღე კვების პრობლემას ვიხსნით. მადლობის მეტი რა გვეთქმის". _ მანანა ჩაჩუამ მადლიერება ამ სიტყვებით გამოხატა.

უმადურობას არც სხვები იჩენენ, თუმცა შეფარვით იმასაც ამბობენ, რომ კარგი იქნებოდა, სახელმწიფოს ამგვარი ზრუნვა უნარშეზღუდულ ბავშვებზე ერთის ნაცვლად წელიწადში 2-3-ჯერ შეძლებოდა.

"ჩემი ანა 16 წლისაა, შენიშნავს ხათუნა კეთილაძე, _ შეუძლებელია, მასზე ყურადღების გამომხატველ ადამიანებზე კარგის მეტი რამ ვთქვა, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ. ამ პროდუქტით თავს, დაახლოებით, 3 კვირის განმავლობაში გავიტანთ. სასურველია, ეს სიხარული უნარშეზღუდულმა ახალგაზრდებმა წელიწადში რამდენჯერმე იგრძნონ".

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამანათი 87-მა უნარშეზღუდულმა 18 წლამდე ბავშვმა მიიღო. საპირველივნისო საჩუქარი ასევე 20 ოჯახზე მომზადდა, სადაც 5 და მეტი შვილი იზრდება.

ამანათების გაცემას "სახლი თანადგომას" თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ. პროცესის მიმდინარეობას აკონტროლებდა და მშობლების მიმართ განსაკუთრებულ სითბოს იჩენდა დირექტორი, მზევინარ ბოხუა.

" ისეთ კატეგორიასთან მიწევს ურთიერთობა, რომლებიც სახელმწიფოსაგან მუდმივ მზრუნველობასა და სითბოს გამომჟღავნებას ითხოვენ. ასეთ ოჯახებს ჩვენი მხრიდან თანადგომა არც მომავალში უნდა მოაკლდეთ. კარგად ვიცი, ეს პროდუქტი მათ სოციალურ პრობლემებს ვერ მოუხსნის, მაგრამ მაინც კარგია, რომ ასეთი პროგრამა არსებობს. მუდმივად ვგრძნობ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას, გამორჩეულად ბატონი გამგებლის ყურადღებას. ვალერიანე ფოცხვერია ყოველთვის ცდილობს, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი პროდუქტი ჩვენს ბენეფიციარებამდე სრულფასოვნად მივიდეს. რაც შეეხება დღევანდელ ამანათს, ნამდვილად არ გამოიყურება ღარიბულად: 10 კილოგრამი პურის ფქვილი, 5 კილოგრამი მაკარონი, 3 ლიტრი ზეთი, 3 კილოგრამი შაქარი, 2 ცალი ლიმონათი, 1 კილოგრამი ტომატი, ნახევარი კილოგრამი ბრინჯი".

"სამტრედიის მაცნე" ცნობისმოყვარეობამ იმ კუთხისაკენ გაახედა, სადაც უფასო სასადილოს ბენეფიციართათვის ყოველდღიური სადილი მზადდება. არ შემიძლია, დიასახლისების სასახელოდ არ ვთქვა, რომ გემოს გასინჯვა არ იყო აუცილებელი სუნითა და ვიზუალური მხარით მიხვედრილიყავი, თუ როგორი კარგი სადილი უნდა მიეღოთ იმ დღეს იქ მისულ ადამიანებს.

ნინო ნანიტაშვილი

# ეს ერთი და სხვა მრავალი

დაბა კულაშის ბაგა-ბაღში 4 ივნისს უჩვეულო ხალხმრავლობა დაფიქსირდა. სააღმზრდელო დაწესებულება დილიდანვე მობილიზებული იყო, სასიამოვნო სტუმრებისთვის ემასპინძლა. უფროსი და უმცროსი ჯგუფის ყველა აღსაზრდელი წინასწარ შეემზადებინათ, რომ მათ საბავშვო ბაღში ახალი ინვენტარი უნდა შემოეტანათ.

საზეიმოდ გამოწყობილი გოგო-ბიჭები ფანჯრებიდან გაფართოებული თვალებით ეზოსკენ იმზირებოდნენ. თითოეულ მათგანს სახეზე ბედნიერების ღიმილი აღბეჭდვოდა. რამდენიმემ ტაშიც კი შემოჰკრა, როცა ეზოში შემოსულ სატვირთო ავტომანქანაზე ფერად-ფერადი მაგიდები და სკამები შენიშნეს.



მოლოდინი არსებობდა: „რესპუბლიკური პარტიის" მიერ რამდენიმე დღის წინ სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებულ აუქციონზე შემოსული თანხით დაბა კულაშის ბაგა-ბაღი ახალი ინვენტარით უნდა აღჭურვილიყო. ასეც მოხდა, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა თანადაბელებს დანაპირები შეუსრულა.

იმედა გოგავა, „რესპუბლიკური პარტიის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე: „კარგად მოგეხსენებათ, რომ ასევე წარმოვადგენ სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაბა კულაშის მაჟორიტარ დეპუტატს. ეს დასახლება და ხალხი ჩემთვის ძალიან ახლობელია. მინდა, მათ თავი სიკეთით დავამახსოვრო, განსაკუთრებულად – სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამჯერად ბაგა-ბაღის თანადგომა შევძელით. ალბათ, გახსოვთ, ზამთარში რა სკანდალში გაეხვია ეს ბაგა-ბაღი? მხოლოდ კრიტიკა არ არის საკმარისი. ვისაც რა შეგვიძლია, იმით უნდა დავეხმაროთ. მე მათ მაშინ დავპირდი, რომ პარტიის სახელით გავმართავდით აუქციონს, შემოსული თანხით კი ინვენტარს შევუძენდით".

სიტყვას საქმე რომ მოჰყვა, 4 ივნისს „რესპუბლიკელების" დაბა კულაშის ბაგა-ბაღში სტუმრობამ რეალურად დაგვარწმუნა. 10 თანამედროვე მაგიდა, 40 ლამაზი და მოხერხებული სკამი, საერთო ღირებულებით 1300 ლარი. პატარების გულის მოგება მარტო ინვენტარით რომ არ გამოვიდოდა, იმედა გოგავამ ეს გაითვალისწინა და 500 ლარით მაისურები, სახატავი ფუნჯები, პლასტელინები, კუბიკები, ჩანთები და სხვადასხვა სახის სათამაშოები შეუძინა.

„აუქციონზე სულ 2400 ლარი შემოვიდა. დარჩენილი თანხით ბაგა-ბაღის დირექციას კიდევ ერთი სურვილი გვინდა შევუსრულოთ, ეზოს შემოვღობავთ". – იმედა გოგავამ „სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა.



ბაგა-ბაღში სტუმრობის დროს „რესპუბლიკელების" ლიდერმა კიდევ ერთი ამბავი დააანონსა: იმედა გოგავას გადაწყვეტილი აქვს, საკუთარი სახსრებით მშობლიურ სკოლაში ერთი ოთახი გაარემონტოს.

ვინაიდან 4 ივნისს დაბა კულაშის ბაგა-ბაღში გამოსაშვები ჯგუფის ზეიმი იყო, საჩუქრების შემოტანის პროცესს მშობლებიც დაესწრნენ. იმ დღეს გიორგი სტურუა დედას თავის სიხარულს უზიარებდა და სტუმრების მიერ მოტანილ მაისურებსა და სათამაშოებს აჩვენებდა.

დარიკო ჯაში, გიორგი სტურუას დედა: „შვილებთან ერთად ჩვენც ძალიან გავიხარეთ. ბედნიერები ვართ, რადგან პატარებზე მშობლების გარდა სხვებიც ზრუნავენ. მადლობას ვეტყვით იმედა გოგავას და „რესპუბლიკელებს" კულაშის ბაგა-ბაღზე გაწეული სამსახურისთვის".

„რესპუბლიკური პარტიის" ინიციატივას კმაყოფილებით შეხვდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე პატარებს ბედნიერი სახით ურიგებდა საჩუქრებს და ცდილობდა, მზის სათვალეების გარეშე არც ერთი მათგანი დარჩენილიყო. „რა შეიძლება იყოს იმაზე კარგი, როცა ამდენ, ბედნიერებისაგან გაბრწყინებულ სახეს ხედავ. „ეს ერთი და სხვა მრავალი!" – ვისურვებდი, ჩვენს პარტიას მომავალშიც ბევრი სასიკეთო საქმე გაეკეთებინოს".

დაბა კულაშის ბაგა-ბაღში 60-მდე აღსაზრდელი ჰყავთ. მათგან 32-ი წელს სკოლის მერხს მიუჯდება. სააღმზრდელო დაწესებულების გაუმართავი ინფრასტრუქტურის შესახებ ცენტრალური ტელევიზიების მეშვეობით თითქმის მთელმა საქართველომ შეიტყო. შენობის დიდი ნაწილი ავარიულია და აღდგენას ითხოვს. რამდენიმე ოთახი გარემონტებულია, მოწესრიგებულია სველი წერტილები. ბაგა-ბაღის მმართველ ეკა ბელთაძეს უახლოესი წარსულის გახსენება დღესაც უხერხულობას უქმნის, თუმცა, იმედა გოგავას ჩართულობა მისთვის დიდი იმედის მომცემია. „ბაგა-ბაღი 1970 წლიდან ფუნქციონირებს. თავდაპირველად 6 ჯგუფი მუშაობდა. მე 1987 წლიდან ვმუშაობ, მაშინ ოთხ ჯგუფს ვემსახურებოდით. დღეს კი ორი ჯგუფი გვაქვს, – გვიამბობს აღმზრდელ-მასწავლებელი ქსენარი ოტრაბახიძე-იობაშვილი. იქვე დასძენს, – დღემდე ძველი ინვენტარით ვიყავით. შიგადაშიგ სათამაშოებით გვამარაგებდნენ. დღეს ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. მადლობის გარდა იმედა გოგავას მისამართით სხვა სიტყვები არ გაგვაჩნია".

დაბა კულაშის ბაგა-ბაღში პატარებთან ერთად საჩუქრებს კბილს უფროსებიც უსინჯავდნენ. კმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ. ბოლოს კი ყველამ ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღეს.

# ინტელექტუალური ტურნირი „კონსერვატორების" ეგიდით

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა პირველად უმასპინძლა პარტიული ინიციატივით მოწყობილ ინტელექტუალურ შეჯიბრს მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის. ეს მართლაც საინტერესო და საშური ინიციატივა „კონსერვატორებს" ეკუთვნით. „კონსერვატიული პარტიის" იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თა-



ვმჯდომარემ და საკრებულოს თავმჯდომარის „კონსერვატორმა" მოადგილე კობა ძიძიგურმა გვითხრა, რომ თამაშში მონაწილეობა მხოლოდ ქალაქის სკოლებს შესთავაზეს. ინტელექტუალურ შეჯიბრში 10 სკოლის გუნდი მონაწილეობდა. 6 კაციანი შემადგენლობით გუნდები გამოიყვანეს: მე-6 საჯარო (კაპიტანი ქეთი აბრამიშვილი), მე-10 საჯარო (კაპიტანი თეონა ზაქარეიშვილი), მე-7 საჯარო (კაპიტანი ავთანდილ რუხაძე), მე-12 საჯარო (კაპიტანი შოთა პაპავა), მე-3 საჯარო (კაპიტანი გიორგი ტაბიძე), მე-8 საჯარო (კაპიტანი ვიოლა გეგეშიძე), მე-4 საჯარო (კაპიტანი ნიკა კურდღელია), მე-11 საჯარო (კაპიტანი გიგა ჩალიგავა) და 1-ლმა საჯარო სკოლამ (კაპიტანი სოფიკო დვალიშვილი).

როგორც კი კობა ძიძიგურისაგან სამტრედიაში სკოლებს შორის მუნიციპალური ინტელექტუალური ტურნირის გამართვის შესახებ შეიტყო, სიამოვნებით დასთანხმდა ღონისძიების წაყვანას კონსერვატიული პარტიის აჭარის ორგანიზაციის ლიდერი აჭარის ინტელექტუალთა გუნდის ხელმძღვანელი დავით ბაციკაძე. საინტერესო კითხვებიც მანვე მოამზადა. ჟიურის შემადგენლობაში შევიდნენ: შპს „სამტრედიის მაცნეს" დირექტორი, ბეჟან გოგია, საქართველოს „ახალგაზრდა კონსერვატორების" თავმჯდომარე ქეთევან მამულაშვილი, აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, ია ბერძული, კონსერვატიული პარტიის სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, კობა ძიძიგური და მთავარი სპეციალისტი საკრებულოს საორგანიზაციო საკითხებში სერგო კოპალეიშვილი. სულ 24 შეკითხვა დაისვა. დებულების თანახმად, გაიმარჯვებდა ის, ვისაც მეტ კითხვაზე ექნებოდა გაცემული პასუხი. შეკითხვის მოსაფიქრებლად დრო 1 წუთი ჰქონდათ გუნდებს.

1914 წელს ტომას ლოურენსი აპირებდა ჯარში მოხალისედ წასვლას, სამხედრო ისტორიკოსის თქმით, ამ დროს ინგლისში მოქმედი კანონით, ჯარში არ მიიღებდნენ არც ნაპოლეონს და არც ერეკლე მეორეს, დავით ბაციკაძის მიერ დასმულმა ამ შეკითხვამ ბევრი გუნდი დააბნია, თურმე კანონი ტანდაბალ ადამიანებს ჯარში წასვლას უკრძალავდა. ტანდაბალი ადამიანების თემა აქტუალური იყო იმ დღეს. 13 წლის ასაკში მეტად სერიოზული ტურნირი ფეხზე დამდგარმა ითამაშა გარი კასპაროვმა. მიზეზი იყო ის, რომ ის ტანად პატარა იყო. ეს ორი შეკითხვა ბევრმა სკოლამ ვერ გამოიცნო. საყოველთაო ხალისი გამოიწვია შეკითხვამ ინგლისის დედოფლის ელიზავეტ მეორის შესახებ, იგი თურმე ამ ნივთის გამოყენების წინააღმდეგი იყო, ვიდრე არ აჩუქეს მარგალიტებით მორთული ეს ნივთი. გაირკვა, რომ ეს ნივთი მობილური ტელეფონი ყოფილა.



საინტერესო, აზარტული თამაშის ბოლოს საპრიზო ადგილებზე გასული 5 გამარჯვებული გუნდი გამოავლინეს, მე-5 ადგილზე მე-7 საჯარო, მე-4 ადგილზე – მე-12, მე-3 ადგილზე – მე-6, მე-2 ადგილზე კი, მე-3 საჯარო სკოლა გავიდა. საუკეთესო შედეგი აჩვენა მე-11 საჯარო სკოლის გუნდმა, მათ 24-დან 21 კითხვას სწორი პასუხი გასცეს და პირველი ადგილიც მოიპოვეს. „ეს გროსმაისტერული შედეგია, და ძალიან მიხარია, დიდი ხანია ვოცნებობ ბროლის ბუზე. გისურვებთ თქვენ, გაგიმართლოთ და თქვენ მოიპოვოთ იგი." – მიმართა გიგა ჩალიგავას და მისი გუნდის წევრებს დავით ბაციკაძემ, როცა მათ სპეციალური პრიზით, სუვენირით აჯილდოვებდა. ხატებითა და ბიბლიით დაჯილდოვდნენ გუნდები. სიგელების და საჩუქრების გარეშე არცერთი გუნდი არ დარჩენილა.

შესვენების დროს ჯგუფი „ლადი" უმაღლებდა განწყობას შეხვედრის მონაწილეებს. შეჯიბრის ბოლოს კობა ძიძიგურმა შთაბეჭდილება გაგვიზიარა:

„ჩვენი „კონსერვატიული პარტია" ამ ღონისძიების ორგანიზატორია, პარტია ყოველთვის აწყობს ინტელექტუალურ შეჯიბრებას, დიდი ხანია მაქვს იდეა, ჩამეტარებინა მსგავსი ჩემპიონატი სკოლებს შორის და ამ ინიციატივის ხორცშესხმაში დაგვეხმარნენ თბილისის პარტიის ცენტრალური ოფისიდან, მიმაჩნია, რომ შეჯიბრი ნორმალურად ჩატარდა, „კონსერვატიული პარტიის" ახლაგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი ქეთი მამულაშვილი ძალიან კმაყოფილია, კმაყოფილი დარჩა ბავშვების აქტიურობით, ენერგიულობით, რომ ასეთი მოაზროვნე ბავშვები გვყავს, მართლაც ძალიან ჭკვიანები, აზრიანები და ენერგიულები არიან ისინი, მეამაყება, რომ მათი სახით საქართველოს ღირსეული მომავალი ეზრდება. შესანიშნავად წაიყვანა თამაში დავით ბაციკაძემ, რისთვისაც დიდი მადლობა მას".

## კონკურსში გამარჯვებულნი

5 ივნისს კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს სამტრედიელ პატარებს გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა და მაღაზია „ელიტ ელექტრონიქსმა". ორ ასაკობრივ ჯგუფში მათ ხატვის კონკურსი გამართეს. კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით შეირჩა ორივე კატეგორიაში პრიზიორები და ნომინანტები.

5-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებში პირველ ადგილზე 6 წლის ლუკა კიკაჩეიშვილი, მეორე ადგილზე 5 წლის ლიზი კიკაჩეიშვილი, ხოლო მესამე ადგილზე 7 წლის მარიამ აბრამიშვილის ნამუშევრები გავიდა.

7-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილის 9 წლის ოთარ შუბლაძე, მეორე ადგილის 10 წლის გურამ ტალაბაძე, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი გიორგი მანჯგალაძე გახდა.

ნომინაციაში „გამოფენის სიმბოლო" 10 წლის გოგა ჩაჩუამ გაიმარჯვა.

ნომინაცია „ნახატის ორიგინალური გადაწყვეტა" გამარჯვებული 12 წლის თათია ბახტაძე გახდა.

ნომინაციაში „ყველაზე პოეტური ნამუშევარი", სამი გამარჯვებული გამოვლინდა: 10 წლის ვახო ნადირაძე, 9 წლის ალექსი ჩაჩუა და 9 წლის მარი გოგაძე.

„ელიტ ელექტრონიქსის" სპონსორობით გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. პლანშეტური კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, სათამაშოები, წიგნები და ხატვისათვის საჭირო აქსესუარები.

„სამტრედიის მაცნე"

# "თბილისის მოზარდთა სახლი" ეწერში

თეა ბაბუნაშვილი

***ეწრის საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებას მხოლოდ სანახაობის დატვირთვა არ ჰქონია. აქ იმ პროექტზე სასაუბროდაც მიგვიწვიეს, რომლის წყალობით ეს სკოლა გამორჩეულთა რიგებში ჩადგა. რომ არა ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული "ახალგაზრდების განვითარებისა და დახმარების პროგრამა" და მათ მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია "თბილისის მოზარდთა სახლი", ეწრელ აღსაზრდელებს არაერთ სიკეთეზე მოუწევდათ უარის თქმა. უკვე ორი წელია, ეს ორგანიზაცია ეწრის საჯარო სკოლაში ახორციელებს პროექტს, რომელსაც, როგორც მისი მესვეურები ამბობენ, დასრულების განსაზღვრული თარიღი არ აქვს. ესე იგი, განხორციელდება მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება.***

თავდაპირველად ორგანიზაცია პროექტს ეწრის დღის ცენტრის აღსაზრდელებთან ახორციელებდა. მისი გაუქმების შემდეგ არჩევანი იმ სკოლაზე შეაჩერეს, სადაც დღის ცენტრის აღსაზრდელები სწავლობდნენ. პროექტი ძირითადად მოწყვლადი ჯგუფებისთვის არის განკუთვნილი. იგი 1999 წელს დაიწყო და ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისსა და იმერეთის რეგიონზე ვრცელდება. ეწრის საჯარო სკოლის დირექტორი მიხეილ კოპალეიშვილი პროექტის ფარგლებში მოგვარებულ არაერთ პრობლემაზე ჰყვება: _ "ამ ორგანიზაციამ დააფინანსა სკოლაში სველი წერტილების, სპორტული მოედნის მოწყობა. შეგვიძინა ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკა. შემიძლია ვთქვა, რომ გვანებივრებენ, საქართველოში არ მეგულება სკოლა, სადაც არა მარტო მოსწავლეებზე, მასწავლებლებზეც იყოს გათვალისწინებული უფასო კვება." ერთჯერადად, სწრაფი კვების სახით, ეს სკოლას უფასო აქვს. ორგანიზაციამ შესაბამისი შემოწმების შემდეგ თავად გააფორმა ხელშეკრულება ადგილობრივ ინდმეწარმესთან, რომელიც მრავალფეროვანი მენიუთი ამარაგებს ეწრის საჯარო სკოლას, ამისთვის კი კვირაში 600 ლარს ხარჯავს. გარდა ამისა, ბავშვებს უტარდებათ უფასო სამედიცინო გამოკვლევები, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარებაც. ყველა ამ სიკეთეს წელს ისიც დაემატა, რომ თუკი ამ სკოლის აბიტურიენტი სტუდენტი გახდება, საცხოვრებლის არქონის შემთხვევაში ამერიკული ორგანიზაცია მის საფასურს დაუფინანსებს. როგორც დირექტორი აღნიშნავს, ქიმიისა და ფიზიკის ძვირადღირებული ლაბორატორიების შეძენასაც დაჰპირდნენ უახლოეს მომავალში.

ამ ყველაფერს მონიტორინგს უტარებს და თვალყურს ადევნებს 11 კაციანი ჯგუფი, რომელიც იმ დღეს გამართული ღონისძიების ჟიურის შემადგენლობას წარმოადგენდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, პროგრამის ხელმძღვანელი ლინ ბენსი ერია, რომელიც აღნიშნავდა, რომ აპირებენ "პროგრამის კიდევ უფრო გავრცობას, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობების გაღრმავებას. შესანიშნავად ვატარებთ დროს ბავშვებთან, რომლებიც ძალიან გონიერები არიან."

თამარ გრიგოლია კი საქართველოში პროგრამის დირექტორი გახლავთ. იგი აღნიშნავს, რომ "ორგანიზაციის ამერიკელი მესვეურების ყოველი აქტივობა ქართული სკოლებისთვის საჭირბოროტო პრობლემებს აგვარებს. ჩვენი ინვესტიცია იმაზე მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ბავშვებისთვის, ვიდრე წარმოგვედგინა." გარდა ამისა, თამარ გრიგოლია ეწრელი აღსაზრდელების და სკოლის პედკოლექტივის ინტელექტუალურ რესურსებსაც უსვამს ხაზს: "იმის გათვალისწინებით, რომ თითქოს რეგიონებში ნაკლები საშუალებებია მოზარდის განვითარებისთვის, ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში მცხოვრებ თანატოლებს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ უკეთესებიც არიან." ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაღრმავებით მუნიციპალიტეტისთვის მეტი სარგებლის მოტანაზე მანაც ისაუბრა.

გარდა ამისა, "თბილისის მოზარდთა სახლი" მეთხუთმეტე საჯარო სკოლა-პანსიონთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა მაშინ, როცა აქაურობას მზრუნველობა სჭირდებოდა. ამჯერად, სკოლა-პანსიონში მდგომარეობა ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდა. ამის გათვალისწინებით, ურთიერთობები მეტ-ნაკლებად მაინც შენარჩუნებულია. "ძველი მეგობრები ვართ. გვიწვევენ ღონისძიებებზე, ბავშვებს ასაჩუქრებენ. გვერდთ გვიდგანან, საჭირო დროს. ამიტომ, ჩვენი გულითადი მადლობა მათ."_ ამბობს მე-15 საჯარო სკოლის დირექტორი გია მეიშვილი.



იმ დღეს გამართული ღონისძიების მიზანი ეწრელი ნიჭიერების გამოვლენა იყო. ასე ერქვა კიდეც: "ნიჭიერი _ 2015". გარდა ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა, მასში მონაწილეობას მეთხუთმეტე სკოლელებიც იღებდნენ. ჟიურიმ, ანუ შემაჯამებელ შეხვედრაზე ჩამოსულმა ორგანიზაციის ამერიკელმა წარმომადგენლებმა და საქართველოში პროგრამის დირექტორმა, თამარ გრიგოლიამ გამარჯვებულები გამოავლინეს. და ასე, მხიარულად გაკეთდა საქმე, ძველი რომ შეაჯამა და ახალი საჭიროებები წარმოაჩინა.

ღონისძიებაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც გახლდნენ მიწვეულნი.

მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ეს გარემო ძალიან მშობლიური და საყვარელი გახლდათ, რადგან "ამ ეზოში გაირბინა ჩემმა ბავშვობამ. აქ ყველაფერი განსაკუთრებულია ჩემთვის. ყველგან კარგია ყველა ღონისძიება, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, აქაური ყველაზე ლამაზი და კარგი რომ იყოს."_ აღიარა, რომ სუბიექტურობას ვერ გაექცა ვალერი ფოცხვერია მშობლიურ სკოლაში ამჯერად სტუმრად ყოფნისას. რაც შეეხება აქ განვითარებულ მოვლენებს, "თვალყურს ვადევნებ პროექტის მიმდინარეობას. მისასალმებელია, რომ მიუხედავად იმისა, ეწრის ბავშვთა სახლი გაუქმდა, რომელთანაც ეს ორგანიზაცია თანამშრომლობდა, მათ არ მიატოვეს ბავშვები და პასუხისმგებლობა საჯარო სკოლაზე აიღეს."_ აღნიშნა გამგებელმა.

ეწრის საჯარო სკოლა "თბილისის მოზარდთა სახლის" თანადგომით ბევრი სასიკეთო სიახლის ობიექტი კვლავ გახდება, მით უმეტეს, რომ მის მიტოვებას ამერიკელები არ აპირებენ, სანამ ყველაფერი რიგზე არ იქნება.

# სამოქალაქო ოლიმპიადის გამარჯვებული _ თეა მიქელაძე 41 საუკეთესოს შორისაა

ნათია ნაცვლიშვილი

თეა მიქელაძე მე-9 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა, სულ ახლახან თეა იმ 41 საუკეთესო მოსწავლეს შორის აღმოჩნდა, რომლებიც სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებულნი არიან. ოლიმპიადა დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციამ "მოქალაქე", ხოლო მისი ჩატარება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველჰყო. იგი ოქტომბრიდან ივნისამდე გაგრძელდა. საქართველოს მასშტაბით ნებისმიერი საჯარო სკოლის მოსწავლეს შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება. სულ 22 000 დარეგისტრირდა, პირველ ეტაპზე 2000 გადავიდა. მეორეზე _ 200. საბოლოოდ კი, 41 საუკეთესო შეირჩა. მოსწავლეებმა გაიარეს სხვადასხვა საკონკურსო ეტაპები. ტესტირება, ესსეს შექმნა, ზეპირი პრეზენტაცია. გამარჯვებულ 41 მოსწავლიდან ყველაზე მაღალი შედეგის მქონე პირველი ოცი მოსწავლე ოქსფორდში, ენის კურსებზე გაემგზავრება. დანარჩენი 21 კი, ურეკსა და ბორჯომში მოწყობილ ეკო-ბანაკებში დაისვენებენ.

"მესამე ტური ორ ეტაპად დაიყო. ესსეს შექმნა და მათი ზეპირი პრეზენტაცია, ჩემი ესსეს სახელწოდება იყო "მე ვარ მოქალაქე და ეს ჩემი მოვალეობაა". 200-ს შორის 41 საუკეთესო ესსეს ავტორმა ჩვენი ნამუშევრის პრეზენტაცია კომისიის წინაშე მოვახდინეთ. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ პოეტი ლია სტურუა, თბილისის საჯარო სკოლის დირექტორი გია მურღულია, თამაზ ჯოლოგუა და სხვები..." ყოველი ტურის შემდეგ წამახალისებელ პრიზებს გვაძლევდნენ. მივიღე წიგნის 300 ლარიანი ვაუჩერი, ელექტრონული წიგნი, პლანშეტი. დამასაჩუქრეს ორტომეულით "რა არის თავისუფლება". 41-ივე საუკეთესო ესსე დაიბეჭდა. ეს წარმატება ჩემთვის ბევრის მთქმელია. პირველ რიგში მივიღე გამოცდილება გარდა იმისა, რომ ცოდნა გამოვავლინე. მივიღე ახალი ცოდნა, შევიძინე მეგობრები". _ გვიზიარებს შთაბეჭდილებას თეა მიქელაძე.

ის ასევე მონაწილეობდა ახალგაზრდული ორგანიზაციის "სამოქალაქო ვექტორი" მიერ ორგანიზებულ ესსეების კონკურსში სახელწოდებით "უფლებათა ვექტორი". ამჯერადაც თეას ნამუშევარმა გაიმარჯვა, ის საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა საუკეთესო 14 ნამუშევარს შორის მოხვდა. თოთხმეტივე ესსე დაიბეჭდა კრებულში "უფლებათა ვექტორი".

თეა კიდევ ერთ საინტერესო პროექტში მონაწილეობს. "დიდი ნახტომის შეჯიბრი" _ ამ სახელწოდებით პროექტი ევროპის მასშტაბით ხორციელდება და მიზნად ისახავს მიწისზედა წყლების დაბინძურებისაგან დაცვას. პროექტის ორგანიზატორია "კრეატიული განვითარების ცენტრი". "ჩვენმა გუნდმა "კრეატიული ჩემპიონები", რომლის შემადგენლობაშიც სამტრედიიდან შევდივართ როგორც სტუდენტები, ისე საჯარო სკოლების მოსწავლეები, მოიპოვა გამარჯვება და დავჯილდოვდით საგზურით ბელგიის დედაქალაქში". _ გვეუბნება თეა.

მე-9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ქეთევან ბაღდავაძეა. ის თავისი მოსწავლის ნიჭიერებით და სიბეჯითით მოხიბლულია: "ჩემთვისაც და სკოლისთვისაც სასახელოა, რომ გვყავს ასეთი მოსწავლე. ჩვენ სამოქალაქო განათლების სწავლება მე-10 კლასში დავასრულეთ, მინდა, წარმატებები ვუსურვო თეას". _ აღნიშნა საუბარში ქალბატონმა ქეთევანმა.

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებული 41 მოსწავლის პედაგოგებიც დაჯილდოვდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. პედაგოგებს გადაეცათ დიპლომები, წიგნების კრებული: "რა არის თავისუფლება" და წიგნების 200 ლარიანი ვაუჩერი, რომლითაც "ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეიძენენ წიგნებს.

"1983 წლიდან სკოლაში ვმუშაობ, 1997 წლიდან სხვადასხვა სკოლის ხელმძღვანელი ვარ, ურთიერთობა უამრავ კარგ მოსწავლესთან მქონია, მაგრამ ეს ბავშვი მართლაც არის განსაკუთრებულად ჭკვიანი, ერუდირებული, მოაზროვნე და შრომისმოყვარე. ღამეებს ათევს წიგნებთან და კომპიუტერთან, ამასთანავე, არაჩვეულებრივი მეოჯახეც არის. სკოლაში მისგან უამრავი კარგი ინიციატივა მოდის, ის ყველა ღონისძიების სული და გულია, თეა არის ლიდერი და ყველა საგანს ერთნაირად კარგად ფლობს, სპორტშიც ლიდერია და გამარჯვებული. ისიც აღსანიშნავია, რომ თეა არც ერთ რეპეტიტორთან არ დადის, მას მე-9 კლასამდე ბიოლოგიას ვასწავლიდი, ვიცნობ მას ძალიან ახლოს, მისთვის მთავარი არის არა ქულა, არამედ ცოდნა. არც "თავში ავარდნია" მისი მიღწევები, ზედმიწევნით თავმდაბალია. არასოდეს არის მიღწეულით კმაყოფილი, დიდი წარმატებები აქვს სასკოლო ოლიმპიადებში. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა პედაგოგს, ქეთევან ბაღდავაძეს, ის შესანიშნავი განათლებული და ჭკვიანი ქალბატონია". _ გვითხრა მე-9 საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი ჭანტურიამ.



# "წარსულიდან მომავალში გადებული ხიდები ვართ"

ნათია ნაცვლიშვილი

ეს და კიდევ მრავალი პოეტური სტროფი გააჟღერეს პატარა გოგო-ბიჭებმა, მეოთხე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. პედაგოგ მარინა კაკაბაძის ხელმძღვანელობით სარიტუალო დარბაზ "ზორა-ზორაში" ბაღის არაერთი ჯგუფის გამოსაშვები საღამო გამართულა. ამჯერადაც ჯერ კიდევ პაწაწინები, ენის ბორძიკით ეფერებოდნენ თავიანთ აღმზრდელ პედაგოგებს, დედიკოებს, სამშობლოს და ცოდნისაკენ სავალი დიდი მწვერვალების დაპყრობის პირობას დებდნენ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-4 საბავშვო ბაღი ეს ის ადგილია, სადაც ორიგინალური იდეები იბადება. 26 მაისს, სამტრედიის ცენტრალურ ქუჩაზე მწყობრში ჩამდგარი, ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი 60-მდე პატარა ბიჭუნას დანახვამ არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებნი აალაპარაკა. გამვლელები მანქანებს აჩერებდნენ და ოვაციებით ესალმებოდნენ, ლოცავდნენ საქართველოს ხვალინდელი დღის იმედს, ჩვენი სამშობლოს მომავალ გმირებს. პატარებმა ღონისძიება "მომავლის პარკში" წარმოადგინეს.

ამ იდეის ავტორი, მე-4 ბაგა-ბაღის მმართველი ნანა დუნდუაა, რომელიც სამხედრო ფორმით მიუძღოდა წინ თავის აღსაზრდელებს.

ამჯერად კი "ზორა-ზორას" სცენაზე სხვაგვარი ჟრიამული იდგა. მარინა მასწავლებლის ენერგიის, ნოვატორული იდეების, დედობრივი მზრუნველობის და პატარების შემართების ერთობლივი შედეგით მაყურებელი მართლაც დატკბა და მოიხიბლა. საოცრად რთულია, ასეთ პატარებს ათქმევინო რამდენიმე ლექსი, ამღერო საკმაოდ რთული რეპერტუარი და შეასრულებინო საგანგებოდ დადგმული, მათი ყოველდღიური ცხოვრების თემატიკის ამსახველი ცეკვები. ეს მარინა მასწავლებელმა შესძლო, შესანიშნავად. ამიტომაც ხელისუფლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენელთა ულევი აპლოდისმენტი დაიმსახურეს. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, დავით ბახტაძე მამის ამპლუაში ეწვია "ზორა-ზორას", მან პატარა ვაჟიშვილის შემოქმედების შემფასებლის როლიც მოირგო.

პატარების მიმართ მარინა მასწავლებელთან ერთად დედობრივი სითბო ნანა გამგემ, მათთვის საყვარელმა ქალბატონმაც გამოხატა. მოვტაცეთ ამ ქალს ახალგაზრდობა და ერთმანეთში გავინაწილეთო, მოეფერნენ პატარები ქალბატონ ნანას, რომელმაც მათთან ერთად იმღერა და იცეკვა, მერე სკოლის ზარიც სიმბოლურად ჩამოჰკრა...

მე ამ ბავშვებთან ერთად მათი დედიკოების შეყვარებაც მოვასწარიო, მარინა მასწავლებელმა, მათი შვილების ქცევებიდან გამომდინარე, პედაგოგმა კარგად იცის, ამ ბავშვებს ოჯახებში როგორი მზრუნველი დედები ჰყავთ. სწორედ ეს იქცა ინსპირაციის და შთაგონების წყაროდ, დაედგა ცეკვა თოჯინებით, სადაც მამიკოები საწოვარებს აწოვებდნენ პატარა შვილებს. ემოციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა პედაგოგმა სცენაზე მყოფი პატარები თავიანთ დედიკოებთან გაუშვა ნაჯაფი ხელების დასაკოცნად და თან პოეტის სიტყვებიც დაადევნა: "ამ დაღლილ ხელთან მუდამ ვალში ვართ"...

ერთ-ერთი აღსაზრდელი, ლუკა ჯალაღანია, რომელიც სტიქაროსანია, ახლახან გადაიღეს ფილმში "პატარა სათამაშო". ეს სიახლე ქალბატონმა მარინამ გვაცნობა. მერე პატარა ვასო სურგულაძემ მრავალშვილიანობისაკენ ლექსით მოუწოდა დედებს. "იავნანა" ბავშვებთან ერთად მარინა კაკაბაძემაც იმღერა და მუსიკის პედაგოგმა ლელა გოლიაძემ, რომელიც მუსიკალურად გაფორმებაში ქალბატონ მარინასთან ერთად მონაწილეობდა.

"ჩემი კაცობით მოვფინო დედასამშობლოს ნათელი", "ოდითგანვე დატანჯულო, დაჭრილ გულში გენაცვალე" _ საოცარი სისხარტით, ემოციურობითა და ბავშვური გულწრფელობით წარმოსთქვამდნენ და გვაიმედებდნენ პატარები. მერე ზღაპრული სამყაროდან მაშა და დათვი ეწვიათ, ეწვივნენ მხიარული ჯამბაზებიც. მარინა მასწავლებელმა "10 მცნება დედისათვის" დაურიგა სტუმრებს, უკვდავი ქართული კინომუსიკაც ააჟღერეს პატარებმა "ბაში-აჩუკიდან" და "მაია წყნეთელიდან". უბერებელი "არგოს" მელოდიით კი დაგვემშვიდობნენ. "გზა დაგვილოცეთო"... გვთხოვეს პატარებმა. ჩვენც დავულოცავთ და ყველა ბავშვური ოცნების ახდენას ვუსურვებთ წყაროსავით ანკარა ამ პატარებს...

# ერთი წვეთი სიცოცხლის ელექსირისა

28 მაისს ნინოობასა და ბავშვთა საერთაშორისო დღეს მიუძღვნა თავისი სოლო კონცერტი დომენტი შანიძის № 1 სახელოვნებო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლემ ნინო ჩაჩუამ. თითქოსდა ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ იქ დამსწრე საზოგადოება დამერწმუნება, რომ იმ დღეს პატარა ნინომ მისი მოსახელე წმინდანის მადლით და მრავალმხრივი მუსიკალური ნიჭით არათუ მოხიბლა, არამედ გააოცა მსმენელი.

მიუხედავად მცირე ასაკისა, ნინოს ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, მისთვის უცხო არ არის 1-ლი ადგილი და გრან-პრი. ამავე დროს, პატარა ქალბატონი ღირსეულად ართმევს თავს ზოგად დისციპლინებსაც. იგი მე-11 საჯარო სკოლის ერთი საუკეთესო მოსწავლეა. ამიტომაც არის მისი ბგერა ასეთი დამაჯერებელი, ხოლო ხმა განცდებითა და სინაზით სავსე.



დიახ, ნინომ იმ დღეს არა მარტო ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებით წარმოაჩინა თავი, არამედ მსმენელი შესანიშნავი ვოკალითაც მოხიბლა. გარდა ამისა, იგი არაჩვეულებრივი აკომპანიატორიც გამოდგა.

თერთმეტი წლის გოგონას მიერ პიანისტის, აკომპანიატორისა და ვოკალისტის რანგში, უცხოელ და ქართველ კომპოზიტორთა 20-მდე ნაწარმოები იქნა შესრულებული. ეს უკვე არა მხოლოდ მისი, არამედ იმ პედაგოგთა მაღალპროფესიონალიზმზე მიუთითებს, რომლის ნაკლებობასაც № 1 სახელოვნებო სკოლა ნამდვილად არ განიცდის. ფორტეპიანოში ქალბატონი ელისო ბარათელი, ვოკალში ბატონი რამაზ კუბლაშვილი, ხოლო მხატვრულ ნ ქალბატონი ლიკა მელქაძე აკვალიანებს პატარა ვუნდერკინდს. ილუსტრატორებიც ამავე სკოლის პედაგოგები: ლეილა ძაგნიძე და ინგა შანიძე გახლდათ. უფროსების მსგავსად, ილუსტრირებას პატარა მეგობარს სკოლის წარჩინებული მოსწავლეები: ვალერი მარტინოვი, გვანცა არაბიძე, ნინო ჭავჭავაძე, თეკლე გიორგაია, ანა ნადირაძე უწევდნენ.

ყოველი ნაწარმოები, მხოლოდ ნოტის ფურცელზე დაწერილი, მკვდარიაო, _ შენიშნა უმშვენიერესმა წამყვანმა ქალბატონმა ხათუნა გოგიამ, მე კი ჩემდათავად დავსძენდი, რომ გაცოცხლება არამარტო ფურცელზე დაწერილს, არამედ ზოგჯერ ცოცხალ ადამიანებსაც გვჭირდება, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, უნდა გვახსოვდეს, ყველაზე დიდი ბედნიერება ადამიანად, მოაზროვნედ მოსვლაა ამქვეყნად, რათა შეიგრძნო სიცოცხლის მშვენიერება.

ეს კონცერტი ნამდვილად იყო ერთი პატარა, ციცქნა წვეთი სიცოცხლის ელექსირისა, რაც ყოველ ეპოქაში, ყოველ დროს ასე გვჭირდება ადამიანებს.



**ლიკა პატარიძე**
**ფილოლოგი და მუსიკოსი**

# "საქართველო ჩემია"

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი მარინა ქართველიშვილი) წევრებმა, რომლებიც მე-11 საჯარო სკოლის ბაზაზე მუშაობენ და ამავე სახლში არსებული ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა საინტერესო ერთობლივი ღონისძიება საგანმანათლებლო რესურსცენტრში მოაწყვეს. ამ სახლის აღსაზრდელთა ეს უკვე მესამე ვიზიტია რესურსცენტრში და უნდა ითქვას, რომ ძალზე წარმატებულია მოსწავლეების მიერ მოწყობილი ყოველი ღონისძიება ამ დარბაზში.



ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შესახებ ისაუბრეს და უმცროსებს დაუთმეს ასპარეზი. მართლაც უამრავი სათქმელი თქვეს პატარების მიერ საკუთარი ხელით დამზადებულმა წიგნებმა. საქართველო და მისი გმირული წარსული, აწმყო და მომავალი, _ ეს იყო ყველა მათ მიერ შედგენილი წიგნის მთავარი თემა. ბევრი საინტერესო და საგულისხმო მასალა წარმოადგინეს პატარებმა. სულ 29 წიგნი მომზადდა. ზოგიერთი მათგანი ასეა დასათაურებული: "საქართველო ჩემია". ქალბატონმა მარინა ქართველიშვილმა თითოეულ პრეზენტატორს დაუსვა შეკითხვა, მოეთხროთ საკუთარ წიგნში შეტანილ იმ თემაზე, რომელიც განსაკუთრებულად მოსწონდათ. ზოგმა მათგანმა ჩვენს დამწერლობაზე ისაუბრა, ზოგმა _ ქართულ ტრადიციებზე, ოჯახის ინსტიტუტზე, აფხაზურ სტუმარ-მასპინძლობის თვისებებზე, ასევე ისაუბრეს თამარის ეპოქაზე, აკაკი შანიძეზე, აკაკი კვანტალიანზე, ეროსი მანჯგალაძეზე. დიდ ქართველ მეფეებზე, უწმინდესსა და უნეტარესზე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. საქართველო ამოუწურავი თემაა, თუმცა, თითოეულმა მოსწავლემ ძალზე საინტერესოდ ისაუბრა და გამოავლინა თავისი ცოდნა, ამის გამო მათ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეცილისტის, ალექსანდრე თევზაძის დიდი მოწონება დაიმსახურეს. ბატონმა ალექსანდრემ მადლობა გადაუხადა პედაგოგებს ელიკო ანკვაბს და მარინა ქართველიშვილს ძალზე ნაყოფიერი და შემოქმედებითი მუშაობისთვის, ასევე, მოიწონა მოსწავლეების ნამუშევრები და მათ წარმატებები უსურვა.



წიგნები წარმოადგინეს მე-5 კლასელებმა: ლუკა კანდელაკმა, ნიკა მიგინეიშვილმა, მარიამ კაჭახიძემ, ნინო ნიკურაძემ, ანანო ხუჭუამ, გიორგი ხუჭუამ, შოთიკო თადუმაძემ, გიორგი ტორონჯაძემ და სხვებმა.

**ნათია ნაცვლიშვილი**

# დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი...



ბგერების კორიანტელი დააყენეს დარბაზში. ჰანგი ჰანგს ააყოლეს და მელოდიით თქვეს ბავშვურად დანახული სათქმელი. საკუთარი მონდომების და სწავლის შედეგი პატარა კონცერტით აჩვენეს მსმენელს, რომელიც განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა. ისინი მშობლები, მეგობრები და პედაგოგები იყვნენ.

ბავშვური მონდომებით ააჟღერეს არაყიშვილი, მერაბიშვილი, თაქთაქიშვილი, შავერზაშვილი. არც ჩაიკოვსკი, ლიტევკო, კაბალევსკი დააკლეს კონცერტს. ანა ვაშაკიძე, თომა ნიკურაძე, მარიამ გერგაია პირველკლასელები არიან, ნინი კიკაბიძე, ანა ვაშაკიძე, თამარ დიდიძე, არჩილ ასლანიშვილი მეოთხეკლასელები. პედაგოგ ეთერ ნიქაბაძის ნაშრომის შეფასების საშუალება მათი შესრულების შედეგად მისცეს მსმენელს. და ეს იმდენად კარგად გამოუვიდათ, რომ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის დირექტორმა, ლეილა შოშიაშვილმა პატარებიც შეაქო და პედაგოგის მონდომებაც. ამიტომ, დიდ ჯიხაიშში გამგებლის წარმომადგენელის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ლეჟავამ პატარა მუსიკოსები წამახალისებელი სიგელებით დააჯილდოვა.

მხიარულ ზაფხულს ახალი სასწავლო წლის დადგომა ჩაათავებს და მერხებთან ერთად კვლავ ინსტრუმენტს მიუსხდებიან პატარა მუსიკოსები. საკუთარ ნიჭს კიდევ უფრო განავითარებენ და ამაში მათ ახალგაზრდა პედაგოგი ეთერ ნიქაბაძე დაეხმარებათ. მანამდე კი სიყვარულით დაემშვიდობნენ საყვარელ მასწავლებელს. მერე კი, დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი... და ისევ ბგერები ბგერებს აჰყვებიან მუსიკალური სამყაროს დასალაშქრად.

**თეა ბაბუნაშვილი**



# სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

**ნინო ნანიტაშვილი**

"გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ყველა სტუმარს, აქ დამსწრე საზოგადოებას ჩვენთან მობრძანებისა და ჩვენი დიდი სიხარულის გაზიარებისათვის". _ ამ მიმართვით ნიკოლოზ ნინიძემ საზეიმო დილა მიძღვნილი ბაგა-ბაღის დამთავრებისა და სკოლაში გაცილებასთან დაკავშირებით გახსნილად გამოაცხადა. ამის შემდეგ სცენარის მიხედვით სიმღერას ლექსი სცვლიდა, ლექსს ცეკვა და ა. შ.

მე-11 ბაგა-ბაღის გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები მხატვრულ ნომრებში ამჟღავნებდნენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ მშობლიური ბაღის კედლებში შეიძინეს.

"თითქოს გუშინ შემოვაღეთ ბაგა-ბაღის კარები. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და აი, მოვიდა ბაგა-ბაღთან განშორების დროც". _ პატარები ამ განწყობით თავიანთ აღმზრდელ-პედაგოგებთან განშორების გამო გულისწყვეტას გამოხატავდნენ. სევდას იქვე სიხარულიც მოსდევდა, რადგან გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელებმა იციან, რომ 15 სექტემბერს პირველად შეაღებენ სკოლის კარებს, ხელში აიღებენ იაკობ გოგებაშვილის უკვდავ "დედაენას" და პირველად წარმოთქვამენ "აი-იას". მანამდე კი დაწვრილებით გაიხსენეს მე-11 ბაგა-ბაღში გატარებული დღეები, საყვარელი აღმზრდელ-პედაგოგების ამაგი, თანატოლებთან დამეგობრება, მიღებული ცოდნა, რითაც ისინი მომავალში მშობლიურ ბაღს ასახელებენ.

ზეიმის მსვლელობაში 34 აღსაზრდელი მონაწილეობდა. 24 კი პოტენციური პირველკლასელია. მათ უკვე არჩეული აქვთ სკოლები, სადაც ცოდნის დიდ მწვერვალებს დაეუფლებიან.

მაია მეგენეიშვილი, ირინა ბურძენიძე, დიანა ჩაჩუა _ ამ პედაგოგების სახელი და გვარია მე-11 ბაგა-ბაღში საუკეთესოსთან რომ ასოცირდება, რაც უდავოდ იქნა ასახული საზეიმო ღონისძიებაზე, სადაც ბავშვებმა მომზადების მაღალი დონე აჩვენეს. 52 წელი შეალია მომავალი თაობების აღზრდას მმართველმა გოგოლა კარტოზიამ. მე-11 ბაგა-ბაღი მისთვის მეორე ოჯახია, სადაც სამ ათეულ წელზე მეტია, დედა ფუტკრის როლს სასახელოდ ასრულებს. მისი ამაგი შეუმჩნეველი არც მშობლებს დარჩენიათ და არც სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას.

28 მაისს გოგოლა კარტოზიას ძალიან გაუჭირდა, თვალზე ცრემლი არ მოსდგომოდა. პატარებთან განშორების განცდას ემოციის გარეშე არ ჩაუვლია. მზრუნველმა მმართველმა გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელებს დედური გრძნობით დაულოცა სკოლისაკენ მიმავალი გზა და უამრავი კეთილი სურვილი თან გაატანა.

მე-11 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს და ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა ახობაძე, სპეციალისტები ქეთევან ივანიშვილი და მანანა გოდუაძე. მშობლების სახელით სააღმზრდელო დაწესებულებას მადლობა გადაუხადა ნარგიზ ჩაჩუამ, რომლის შვილებიც ამ საბავშვო ბაღში აღიზარდნენ, ამჯერად კი აქაურები მის შვილიშვილზე ზრუნავდნენ.

# სისხლიანი მდინარის წარმოსახვა მას თავს წლების შემდეგაც არ ანებებს

# ერთი ცუდი ქართველი მთელ საქართველოს გაუფუჭებს სახელს

**ქეთევან ჭელიძე**

***საზოგადოების მახსოვრობაში ფურცელ-ფურცელ იკინძება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისეული ამბები. საინტერესო, ნაკლებად საინტერესო თუ უინტერესო ისტორიები დიდ და პატარა "წიგნებად" იქცევა. თუმცა, დროს, როგორც წესი, მკვეთრად გავლილი ცხოვრება ამჩნევს კვალს.***

***ასინეთ ჩხიკვაძის 93 წლიანი ისტორიაც დიდი წიგნია, არა მარტო წლების, იმ მნიშვნელოვანი წარსულის გამოც, მისი ბიოგრაფიის ნაწილი რომ გამხდარა. ლეგენდად ქცეულა ქალბატონი ასინეთის შთამომავლობისთვის მისი თავგადასავლები. ამ კეთილშობილი მოხუცის შესახებ გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის ჩვენც გვეამბნა. მით უფრო, რომ წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70 წელი შესრულდა, ასინეთ ჩხიკვაძე კი მებრძოლი ქალია. თუ მტერს საქართველოს ტერიტორია არ დაუბომბავს, ამაში მისი დიდი წვლილიცაა.***



ყოფილი რევოლუციონერის, ბორის ძნელაძის თანამებრძოლის, მირიან ჩხიკვაძისა და სოფლის მკურნალის, მარიამ ძნელაძის ოჯახს არა მარტო ბურნათში, მთელ ჩოხატაურში სცემდნენ პატივს. მეტიც, საქართველოში ბევრმა იცოდა მათ შესახებ: შორ გზაზე მიმავალთ ბევრჯერ მიუმართავთ მათთვის ღამის გასათევად, თუ ავდარში თავის შესაფარებლად. კეთილ მასპინძლებს ყოველთვის ჰქონდათ სუფრა გაშლილი სტუმრისთვის. სასიამოვნოდ მოსაუბრე ოჯახის უფროსი თავისი სიბრძნით ყველას აღტაცებას იწვევდა, იმითაც, რომ სადღაც მთაში მცხოვრები ეს გლეხი 4 ენაზე მეტყველებდა.

ასინო მათი ხუთი შვილიდან ყველაზე უფროსი იყო. ერთხელ ვიღაცამ ასინეთი დაუძახა და მას შემდეგ მისი ნამდვილი სახელი ყველას მიავიწყდა. სკოლაში კარგად სწავლობდა. უნიკალური მეხსიერება ჰქონდა, მათემატიკის გაკვეთილს ახსნისთანავე გაკვეთილზე სწავლობდა.

"ყველაზე მეტად მათემატიკა მიყვარდა. ძალიან კარგი მასწავლებელი გვყავდა, სოსო კალანდაძე. დავალება რომ მოგვცა, სახლში ვივარჯიშე, ორ-უცნობიანი ამოცანა იყო. კოეფიციენტებს ვატოლებდი, ერთ-ერთი უცნობი უნდა ამომეხსნა"... – და ა. შ. მრავალი წლის შემდეგაც ზედმიწევნითი სიზუსტით გვიყვება ქალბატონი ასინეთი ამოცანის პირობის შესახებ.

სკოლა წარმატებით დაასრულა და მან ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. პირველი კურსი რომ დაამთავრა, ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. ომში მარტო მამაკაცები არ მიჰყავდათ. ქვეყანაში კომკავშირელთა საერთო მობილიზაცია გამოცხადდა და 19 წლის ასინეთიც იმ 1600 ქალს შორის აღმოჩნდა, ბათუმიდან საბრძოლველად რომ გაიწვიეს. 40-დღიანი კარანტინის შემდეგ იგი 24-ე ბატალიონში გაუშვეს. ბრძოლა უკვე კავკასიონისთვის მიმდინარეობდა. ბატალიონი მამისონის უღელტეხილს იცავდა. ახალგაზრდა ქალს მტრის თვითმფრინავების გამოცნობა ევალებოდა. გამოჩნდებოდა თუ არა "ჰენკელები", "ჰაერი! ჰაერი!" – ტელეფონით გადასცემდა საარტილერიო ნაწილს მათ გასაუვნებელყოფად.

დღედაღამ მორიგეობდნენ ათეულებად დაყოფილი ქალთა ერთეულები. ყურადღების მოდუნება წუთითაც არ შეიძლებოდა. შიში სადღაც გამქრალიყო, წინ სამშობლოსადმი მოვალეობა იდგა.

●●●

– წითელარმიელი ჩხიკვაძე თქვენი ბრძანებით გამოცხადდა! – მოახსენა მან ქუთაისის საჯარისო ნაწილში მაგიდასთან მსხდარ ორ მაიორს.

– სადაური ჩხიკვაძე ხართ? – ჰკითხა მე-15 ბატალიონის უფროსმა საშა დოლიძემ.

– ბურნათიდან, ჩოხატაურიდან.

– შენ მირიან ჩხიკვაძის შვილი ხომ არ ხარ?

დასტური რომ მიიღო, ესიამოვნა. მაიორი ჩხიკვაძეების ნათესავი აღმოჩნდა...

– მირიან ბიძია, შენი გოგო მაიაკოვსკში (ბაღდათში) გავანაწილეთ, შეგიძლია წახვიდე და ნახო! – ჭიშკრიდან მიაძახა სოფელში ასულმა საშა დოლიძემ მირიან ჩხიკვაძეს.

მიიკითხ-მოიკითხეს მაიაკოვსკში ჩასულმა მშობლებმა ასინეთი. ტანად პატარა და შავგრემანია, ხომ არ იცნობთო. კი, როგორ არაო და მათ ასინეთის ამხანაგი, ზინა ჯიბუტი მიუყვანეს. თვითონ ასინეთი კი იქ ერთი დღეც არ გაუჩერებიათ, სწრაფად გადაიყვანეს ლენტეხში. ასეთი რამ ჩვეულებრივი იყო ომიანობის დროს. ბატალიონი საქართველოს მთელ მთიან ზოლს იცავდა და არავინ იცოდა, ვის სად და როდის გაუშვებდნენ. მშობლებიც გულდაწყვეტილი დაბრუნდნენ სოფელში.

●●●

ერთი წელი მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს მისადგომებთან. ამ პერიოდში ასინეთ ჩხიკვაძეს 14 წლის და გარდაეცვალა. 7 კლასი დაამთავრა და 7 ქების სიგელი ჰქონდაო. – სინანული გამოთქვა მის გამო. რამდენიმე დღით სახლში გამოუშვეს. უკვე ნაომარი და დაჭრილი მამაც შინ იყო.

გერმანელებმა უკან დაიხიეს. საბჭოთა ჯარმა კავკასიონის იქეთ გადარეკა მტერი. 24-ე ბატალიონმა ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი, მაგრამ რუმინეთის კაპიტულაციის შემდეგ ბატალიონი გზიდან მოაბრუნეს და ოდესაში გაუშვეს.

ასინეთი ომში მიდისო და საჯავახოში სურსათ-სანოვაგით დატვირთული დეიდა დახვდა. ნიგოეთში – მეორე დეიდა და ნათლია. დეიდას მისი სიგრძე სანთელი ჩამოექნა, უთხრა, კბილი დაადგი, ტაძარში შევწირავ, რომ დაბრუნდეო.

24-ე ბატალიონმა ფეხით გაიარა გზა ოდესიდან ბესარაბიისკენ და რუმინეთის საზღვართან მივიდა. იგი ძალიან გრძელი, ძნელი და სახიფათო გზა იყო. ზურგზე აკიდებული 50 კილოგრამიანი ტვირთით ქალები მამაკაცების გვერდით მიდიოდნენ. ჩამორჩენა და ყურადღების მოდუნება არ შეიძლებოდა. გზა დანაღმული იყო. ბატალიონს ჩამორჩენილები კი დასვენებას ვერ ასწრებდნენ, ისევ რომ არ ჩამორჩენოდნენ თავისიანებს.

45 გრადუსიან სიცხეს ბესარაბიაში უწყლობაც ემატებოდა. გერმანელები უკან იხევდნენ და ჭებში მკვდარ ძაღლებს ჰყრიდნენ. მზისგან დამწვარი, მტვერში ამოსვრილი, ნახევრად მშიერი წითელარმიელები უკან მისდევდნენ მტერს. გოგონებს ზოლ-ზოლად ჩამოეხათ ფარაჯები და ნარმის პერანგები უფარავდათ სხეულებს. ღამით ერთ შინელს რომ გაშლიდა ასმათ ჩხიკვაძე, ის და მისი თანამებრძოლი, ჭიათურელი მარუშა კომლაძე მეორეს ზემოდან გადაიფარებდნენ.

მდინარე სირეტს ღამით მიადგნენ. ჩვენებმა იერიშით აიღეს ტერიტორია. ჯარისკაცები წყალს დაეწაფნენ, მათარები გაავსეს და დაბანაკდნენ. წყლის გემო არ მოეწონა ასმათ ჩხიკვაძეს, მაგრამ წყურვილისგან გათანგულს ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია.

გათენდა და წინ საშინელი სანახაობა გადაეშალათ – მდინარე დახოცილი ჯარისკაცებით იყო სავსე. გულისრევის შეგრძნება, ზიზღი, ბოღმა, ყველაფერმა ერთბაშად დაიარა ახალგაზრდა ქალის სხეულში. ადგილს ვერ პოულობდა, პირველი, რაც გააკეთა, წყლით სავსე მათარა შორს მოისროლა. ომის დამთავრებიდან 70 წლის შემდეგაც ხშირად ხედავს ასინეთ ჩხიკვაძე სიზმრად დახოცილი ჯარისკაცებით სავსე მდინარეს. ღამით კი არასოდეს სვამს წყალს, რადგან სისხლიანი მდინარის წარმოსახვა თავს წლების შემდეგაც არ ანებებს.

ტყვიების ქარცეცხლში გაიარეს მდინარე დუნაიზეც კილომეტრიანი ხიდი. ბევრი დაიღუპა გზაში, ბევრს გაუმართლა და რუმინეთამდე მიაღწია. სულ ერთი დღის სავალზე ჩაუარა თავის სახლს ლეიტენანტმა გოლუბიმ. მეთაურმა პირობა მისცა, დანიშნულების ადგილს რომ მივაღწევთ, მერე გაგიშვებ შენების სანახავადო. იმ ღამეს ლეიტენანტი ათეულთან ერთად დასასვენებლად დაჯდა. ადგილი დამინული აღმოჩნდა. აფეთქებამ ნაწილებად აქცია ისინი.

ერთხელ, ჯარისკაცებს ვენახში მოუწიათ ღამის გათევა. ამას გვიან მიხვდნენ, ვიდრე ვიღაცამ გემო არ გაუსინჯა ყურძენს.

ყურძენი, ყურძენია აქ! – ყვირილზე ყველა ერთბაშად გამოფხიზლდა. მუჭებით იყრიდნენ პირში მწიფე ნაყოფს. ტკბილი წვენი ღარად ჩამოსდიოდათ მტვრიან სახეზე, ყელზე. ერთმანეთის დანახვის სურვილი აღარ ჰქონდათ, ისე გამოიყურებოდნენ, საკუთარი თავის რცხვენოდათ.

●●●

ორი წელი დაჰყო ასინეთ ჩხიკვაძემ რუმინეთში. საზღვართან ახლოს გერმანელებს ტყვეთა ბანაკები ჰქონდათ, მაგრამ საბჭოთა ჯარების შესვლამდე მოასწრეს და ტყვეები გაიყვანეს. მათ შორის ქართველებიც იმყოფებოდნენ, რასაც კედლებზე შემორჩენილი წარწერებიც ადასტურებდა. ქუჩებში სტალინის კარიკატურებიც გაეკრათ ფაშისტებს, საბჭოთა კავშირში ყველისა და კვერცხის დამზადების გამო ბელადს ერთ ხელში ყველით სავსე კალათა ეჭირა, მეორეში კი კვერცხი.

დასაბანად და მოსაწესრიგებლად მდიდარი ბერძნების ოჯახებში შეიყვანეს მებრძოლები.

"ვიღაც-ვიღაცეებმა ხელს ოქრო და ვერცხლი გააყოლეს. მეთაურებმა გაჩხრიკეს და ჩამოართვეს. ისინი სხვა ეროვნების იყვნენ. ჩვენ ვცდილობდით, არაფერი შეგვშლოდა. ქართველები ვართ და სირცხვილი არ უნდა ვჭამოთ-თქო, ვამბობდით. ერთი ცუდი ქართველი მთელ საქართველოს გაუფუჭებს სახელს. ახლა ყველა ეწევა სიგარეტს. მაშინ ეს მიღებული არ იყო. კვინტრაძე იყო ჩემთან ერთი და იმან დაიწყო მოწევა. უკან რომ ვბრუნდებოდით, როსტოვში მატარებელში ვუთხარით, ვაგონიდან გადაგაგდებთ, ხელში პაპიროსი რომ დაგინახოთ-თქო". – გვიყვება ჩვენი რესპონდენტი.

რუმინეთში შესული ჯარისკაცები სათვალთვალო პოსტებზე გამაგრდნენ. 5 საფეხურით ქვემოთ, მიწურში იმყოფებოდნენ. იქედან, მორიგეობით, 30 საფეხურიან კოშკურაზე ადიოდნენ და ჰაერს ზვერავდნენ, გერმანელების თვითმფრინავების შემოსვლა რომ არ გამოჰპარვოდათ.

ზამთარი ადრე მოვიდა. ბატალიონისთვის თბილი ტანსაცმლის მიწოდება ვერ მოასწრეს და ჯარისკაცები შინელებისა და "პარტიანკების" ამარა დარჩნენ. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, მშრალ თოვლს ქარი ხან ერთ ადგილს მიახვეტავდა და ხან მეორეს.

რუმინეთში ჯარისთვის ნავთი გემებით შემოჰქონდათ. რამდენიმე სამხედრო პირთან ერთად ასინეთ ჩხივკვაძეც გამოიძახეს და უბრძანეს, დაცვის მიზნით, ერთ-ერთ მანქანას გაჰყოლოდა. ქალაქ სელბესტრიდან 30 კილომეტრის მოშორებით მანქანა ჭაობში ჩავარდა. მძღოლი დახმარების სათხოვნელად ახლომახლო მდებარე სოფლისაკენ წავიდა, ასინეთი კი მანქანაში დარჩა. კარგა ხნის შემდეგ მძღოლი გაწბილებული დაბრუნდა: არავინ გამომყვა, სოფელში ქორწილია და ყველანი იქ არიანო. დატოვეს მანქანა და სოფლისაკენ მიმავალ გზას ახლა ორივენი გაუყვნენ. იქაური მცხოვრებლები ძირითადად ბერძნები იყვნენ. "პრიმარიც" (ასე უწოდებდნენ რუმინეთში სოფლის პასუხისმგებელ პირს) ქორწილში იმყოფებოდა. ავტომატიანი ქალის დანახვაზე ყველამ ხელები ასწია. მოსულებმა მდგომარეობა აუხსნეს მათ და კამეჩები სთხოვეს. ბერძნებმა სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟეს. მოწამლული არ გეგონოთო, საჭმელი ჯერ თვითონ გასინჯეს და მერე მათ მიართვეს. შავტუხა გოგო, ბატალიონში "ციგანკას" რომ ეძახდნენ, რუსს არ ჰგავდა და სადაურობა გამოჰკითხეს. ასინეთმა თავი მოიწონა: ბერძენი ამხანაგები მყავდა და ბერძნულად დათვლა შემიძლიაო. ჩვენ ქართული სიმღერა ვიცითო, უთხრეს და რუმინეთის ერთ მიკარგულ სოფელში ბერძნულ ენაზე ამღერებული "სულიკო" მონატრებად მოეფინა სულს.

მათი დახმარებით მანქანა ჭაობიდან ამოიყვანეს და ბატალიონში დაგვიანებით მივიდნენ. 1945 წლის 1-ელ სექტემბერს ქალაქ პლოეშტში იყვნენ, ბატალიონს დემობილიზაცია რომ გაუკეთეს.

●●●

ბურნათში დაბრუნებულმა ასინეთმა, სურვილის მიუხედავად, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ვეღარ გააგრძელა. გამოცდებზე განსხვავებული საგნები უნდა ჩაებარებინა, რისთვისაც მზად არ იყო. სკოლაში დაბალი კლასების მასწავლებლად მოეწყო. მალე აქ ფიზკულტურის მასწავლებლად, ასევე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იროდიონ ზარბაზოია მოვიდა. რამდენიმე თვეში იქორწინეს. უკვე სამი შვილის დედა იყო ქალბატონი ასინეთი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი რომ გახდა. ბავშვების აღზრდაში დედამთილი ეხმარებოდა. გამოცდებზე რძალს შვილიშვილებთან ერთად გულშემატკივრობდა, ამიტომ ხუმრობით "5 დიპლომიანს" ეძახდნენ მას.

მეუღლესთან ერთად იგი საჭამიასერის სკოლაში პედაგოგობდა. უკვე მაღალ კლასებს ასწავლიდა მათემატიკას. გამორჩეული, ნიჭიერი, საქმის მცოდნე, ავტორიტეტული და სამართლიანი მასწავლებლის სახელით სარგებლობდა. 45 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ბევრი სათქმელი დაუგროვდა. ამბობს, რომ მკაცრი არ იყო მოსწავლეებთან, თუმცა, მის გაკვეთილზე არც ლაპარაკი შეიძლებოდა და არც ზედმეტი მოძრაობა. ახსოვს, წლების შემდეგ როგორ უთხრა ყოფილმა მოსწავლემ, თქვენმა ხელმა დამამთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი, სახეში რომ მომხვდა, მაშინ მივხვდი, რას ვაშავებდიო. მეორე მოსწავლის ნათქვამიც არ ავიწყდება: ახლა ვხვდები, ყოველდღე რომ მიძახებდით და ამის გამო ვბრაზდებოდი, თურმე ჩემთვის კარგი გდომიათ, არაფერს მთხოვდით, ოღონდ მესწავლა. ახლა თუ საჩუქრები არ მივიტანე სკოლაში, ჩემს შვილებს გაკვეთილს არ მოაყოლებენო.

გამოცდილ მასწავლებელს ზოგიერთი არც მოსწავლის მიდგომა მოსწონს სწავლებისა და პედაგოგის მიმართ და არც მშობლის. მათ ინერტულობას უსვამს ხაზს.

იქვე სკოლის ყოფილი დირექტორი, ნოდარ ჭკუასელი მაგალითად მოჰყავს, თუ როგორ ავალებდა შესვენებაზე მასწავლებლებს წასულიყვნენ და გაეგოთ, რატომ აცდენდნენ გაკვეთილებს მათი მოსწავლეები, რამეს ხომ არ აშავებდნენ ისინი.

"სწავლების საქმე თუ არ გამოსწორდა, ბევრს ვერაფერს მივაღწევთ!" – გვარწმუნებს იგი. კარგა ხანია, სკოლიდან თავისივე გადაწყვეტილებით წამოვიდა: "ყურთასმენა დამაკლდა და მოსწავლემ არ უნდა მოგატყუოს. მინდოდა, საგანთან ერთად სამშობლოს, ადამიანების სიყვარული მესწავლებინა თაობებისათვის".

სკოლის გარდა ქალბატონი ასინეთი სოფლის საქმეებითაც იყო დაკავებული. თუთა გააშენა და მეაბრეშუმეობას მიჰყო ხელი. ყანასაც უვლიდა და ტყიდან შეშაც ჩამოჰქონდა. მეუღლე ყოველთვის გვერდით ედგა, 60 წელი იცხოვრეს ერთად. შრომასაც იზიარებდა მასთან, სიხარულსაც და მწუხარებასაც. სადაცაა ასინეთი, იქაა იროდიონიო, – ამბობდნენ სოფელში.

იროდიონ ზარბაზოია 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობდა. 5 წელი სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარედ იმუშავა. ცოტა ხანს კოლმეურნეობის ბრიგადირი იყო. 20 წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა.

ერუდირებული ქალბატონის მეგზური ყოველთვის იყო და არის წიგნი. შრომით დაღლილი დასვენებასაც წიგნის კითხვით სცდილობს. კარგად იცნობს თანამედროვე მწერლებსა და მათ ნაწარმოებებსაც. ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის წიგნია. უწიგნოდ ავად ვარო, – დასძენს. აქტიურად კითხულობს აგრეთვე გაზეთებს, პირველი გვერდიდან ბოლო ფურცლამდე. არაჩვეულებრივი მახსოვრობა მაქვსო და იმ ამოცანის გახსენებაც კი შეუძლია, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე რომ გამოიყვანა. უძილობას ილიასა და აკაკის ლექსების ზეპირად მოყოლით ებრძვის. 1000-ის ფარგლებში რიცხვებს 11-ზე ამრავლებს და ყოფს. ეს შედარებით ადვილიაო, – აღნიშნავს. არც ჩვენთან საუბრისას სჭირდება ამა თუ იმ ადამიანისა და ფაქტის გასახსენებლად გონების დაძაბვა.

11 ჯილდოს მფლობელია ასინეთ ჩხიკვაძე, მათ შორის დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენის. ზოგი ბრძოლის ველზე მიიღო, ზოგიც – მშვიდობიანობის დროს.

მკაცრი დედა ვიყავიო, თვლის, 4 შვილი აღზარდეს ზარბაზოიებმა: ვიტალი, 10 წელზე მეტია ერაყში ცხოვრობს და ნავთობკომპანიაში მუშაობს. ერთადერთი ქალიშვილი გულნაზი ზარბაზოია, დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერია. გიგლა მეზღვაური იყო. იგი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. კალისტრატე, რომელიც საჭამიასერში დედასთან ცხოვრობს, ინჟინერია. 8 შვილიშვილისა და 12 შვილთაშვილის ბებიაა ასინეთ ჩხიკვაძე.

სამტრედიაში მას შვილიშვილის სახლში ვეწვიეთ. მეუღლის ბებიით აღფრთოვანებას არც თინათინ ქართველიშვილი მალავს, სიყვარულით და პატივისცემით დასტრიალებს თავს.

გულისტკივილს გამოთქვამს ყოფილი მებრძოლი, ომის მონაწილეები თითზე ჩამოსათვლელნი რომ დარჩნენ. საჭამიასერში მხოლოდ ორნი არიან, ჩოხატაურში კი 14 ვეტერანია დარჩენილი, ქალი მხოლოდ ის ერთია. სიამოვნებს, რომ პრემიერ-მინისტრმა შარშანაც და წელსაც გამარჯვების დღესასწაული პირადად მიულოცა.

ენაწყლიანი და სასიამოვნო რესპონდენტი სოფელში დაბრუნებას ჩქარობდა. იქ, სადაც მისი ფიქრის სავანეა; ადგილი, საიდანაც უფრო უადვილდება ან ეძნელება ყველაფრის განსჯა. ცხოვრების ასავალ-დასავალიც იქიდან უკეთესად სჩანს.

# ჩემი და ჩვენი სამტრედია!

წერილი მინდა დავიწყო დიდი მამულიშვილის, ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებით. ის თავის დროზე წერდა: "ყოველთვის ასეა, როცა კაცი ახალ საქმეს იწყებს, მას ძნელად უჯერებენ, გონიერ-უგუნური მასხრად იგდებს, დასცინის და აპამპულებს, მერე ამ კაცის მიგნებულით და აღმოჩენილით სწორედ ისინი სარგებლობენ, ვინც თავდაპირველად კბილების კრეჭის მეტს არაფერს აკეთებდა, რას იზამ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ეს ბუნების კანონზომიერებაა და ვერსად გაექცევი".

რაოდენ საამაყოა, როდესაც სამტრედიას ისეთი გულანთებული ადამიანები ჰყავს, რომლებიც რაიონის მერმისზე მის მომავალზე არიან დაფიქრებული და რაიონულ გაზეთში თავის მოსაზრებას გამოხატავს, ესენი არიან: მამუკა ფრანგიშვილი _ "დავუბრუნოთ სამტრედიას ღირსეული ადგილი ქართულ ეკონომიკაში;

აწ გარდაცვლილი რეზო შანიძე _ "სამტრედია ევროპისა და აზიის ქვეყნების სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფანი უნდა გახდეს";

ანტონ გეგეშიძე _ "საუკუნის უნიკალური პროექტი "გულს იმედი ჩაგვესახა"; ისიდორე ჯანელიძე _ "წყალს არ გატანებული აზრი და წინადადება;

რაულ ხუჭუა _ "სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს";

ლევან გაბეჩავა _ "სამტრედია რკინიგზით უნდა იწონებდეს თავს". დარწმუნებული ვარ, მათ აზრს კიდევ ბევრი სამტრედიელი იზიარებს.

არ ვიქნები მართალი, ასევე ულრმესი პატივისცემა არ გამოვხატო იმ ნათელი სახეების მიმართ, რომლებიც სამტრედიის კეთილდღეობისათვის ზრუნავდნენ და "ბიუროს" წევრები იყვნენ. ესენი არიან: ქალბატონი ნათელა გელეიშვილი, ბატონი თამაზ იმედაძე, აწ გარდაცვლილი: ლევან ჩხეიძე, მიხეილ მელქაძე, დავით ბაღდავაძე, კიტა შავიშვილი, ლევან ვარდოსანიძე. მათზე სამტრედიის საზოგადოება დღემდე რუდუნებით საუბრობს.

მთავარი ის არის, კაცი უნდა იყო, თორემ სადაც არ უნდა დადგე, კაცად მაინც დარჩები, გრძნობა მაინც არ დაეკარგება, მხოლოდ უგუნურები ხდებიან და ფუძნდებიან სხვისი გავლენის ქვეშ. სულმნათი ნოდარ დუმბაძე გვასწავლის: "მთელი ცხოვრება სანთელივით უნდა ენთო და იწვოდე, როცა აღარ იქნები აქ ღირსეული სახელი უნდა დატოვო".

***კეთილი სურვილებით***
***გია გოჭორიშვილი***

"ბიქტორიჩ!"

P.S "ზოგს კაცსა საკმლად მიუჩანს
თვისი სიმყრალის ბუნება,
რაგინდ ბევრს ავსა შვრებოდეს,
არა აქვს მისი წუნება".

# აკაკი წერეთლის საიუბილეოდ

## ის ერთადერთი აკაკი იყო...

**ლევან გაბეჩავა**

***ვისაც ქართველმა ერმა "ბულბული" უწოდა _ "საქართველოს ბულბული".***

***ნახევარი საუკუნის მანძილზე მოულოდელად ჟღერდა აკაკის ჩანგი, მტერს არ ინდობდა მისი ბასრი კალამი, ხოტბას არ იშურებდა მოყვასისადმი, გვასწავლიდა, გვმოძღვრავდა, მოგვიწოდებდა, გვამხნევებდა... ათობით ლექსით, პოემით გაამდიდრა მწერალმა მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა. აკაკი მოგზაურობდა საქართველოს მთასა და ბარში, ამერ-იმერში ახლოს ეცნობოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და კიდევ უფრო ახლობელი ხდებოდა მისთვის საქართველო.***

განგებამ ერთმანეთს დაუკავშირა შემოქმედებითად ორი ბუმბერაზი ღმერთკაცი, ილია და აკაკი... ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოში არ მომხდარა მოვლენა, ორ ერისკაცს მათ შესახებ საკუთარი მოსაზრება რომ არ გამოეთქვათ. ერის მამობა, ერის ჭირისუფლობა დაისახეს მიზნად და შეასრულეს კიდეც. ამაოდ არ გარჯილან, ერთს "ილია მართალი" უწოდა მადლიერმა ერმა, მეორეს კი "საქართველოს ბულბული".

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელი რამდენჯერმე სწვევია სამტრედიას. ახსოვს სოფელ დიდ ჯიხაიშს, ნიკო ნიკოლაძის მამულს წერეთლის სტუმრობა, გათენებამდე ერის ბედზე უმსჯელიათ ნიკოსა და აკაკის. კულაშელი პოეტი, დავით მიქელაძე (მეველე), ღანირელი კოკინია დგებუაძე, ქართველთა და ებრაელთათვის ერთნაირად ახლობელი და საყვარელი დანიელა ურია. აკაკის სამტრედიელი მეგობრები ყოფილან. კულაშელ თავად პიმენ (პიპინია) მიქელაძესაც არაერთხელ უმასპინძლია თურმე აკაკისათვის მამისეულ სახლში.

მოგზაურობდა მგოსანი მთელ საქართველოში და საყოველთაო სიხარულით აღავსებდა ხალხს. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში დაედო სათავედ პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის შექმნას, ნიშანდობლივია, რომ ფილმიც ამავე სახელწოდებისაა _ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

სულით ხორცამდე შესძრა აკაკი ილიას მუხანათურმა მკვლელობამ. მდუღარე ცრემლით გამოეთხოვა იგი თანამებრძოლსა და განუყრელ მეგობარს. სიბრძნეს, ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს ქადაგებს აკაკის შემოქმედება.

**ვუსმინოთ აკაკის:**

"თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო შეისწავლო".

"საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირის საუკუნოდ შეხორცებული. საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით, ერთის დედაქართულის ენით. ერთის ბუდიდან ვართ გადმოსულნი..."

"ბრაზი უსუსურების იარაღია, ბუნებამ შხამი არგუნა მათ, რომელნიც დაცოცავენ, ძლიერებს ის არ სჭირდებათ".

"როგორც ყოველი ერი, ჩვენ უნდა მოველოდეთ ჩვენი მომავლისაგან უკეთესს მოძღვრებსა და გმირებს".

"ფუ, იმ მოედანს, სადაც ვირები ბედაურობენ!

შაბაშ იმ ერსა, რომელსაც უღირსნი მეთაურობენ!

და ვაი, იმ დროს, როდესაც ველარ ჭრის ჭკუა-გონება

და ყოველგვარი ღირსება ვერცხლითა აიწონება!

როდესაც მონას უფალი ზიზღითა თავზე აფურთხებს!

მონა კი სამაგიეროდ ფეხებს ულოკავს _ აკურთხებს,

მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე, სიკვდილი სანატრელია,

მაგრამ უძებრად შურისა, ვაი, რომ ისიც ძნელია!"



1840 წელი, ზემო იმერეთი, საჩხერე, როსტომ წერეთლის ოჯახში ვაჟი დაიბადა, წყალობა კიდევ ერთხელ გამოიმეტა განგებამ და "საქართველოს ბულბული" მოუვლინა სნებაშეყრილ ჩვენ ერს...

1915 წელი. 75 წლისა აღესრულა მამულის ტკივილით მხრებდამძიმებული პოეტი... მთაწმინდაზე მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი ერისკაცს.

საოცრად ტკივილიანი იყო მეოცე საუკუნის პირველი ოცეული საქართველოსთვის:

1907 წელს ილია მოჰკლეს მუხანათურად, ამით საქართველოს ესროლეს!

1912 წელს ძია იაკობს, ნორჩების უსაყვარლეს მწერალს, დიდ განმანათლებელს იაკობ გოგებაშვილს გამოეთხოვა საქართველო.

1915 წელი, საქართველომ დაჰკარგა ვაჟა-ფშაველა, ბუნების მესაიდუმლე მგოსანი, ატირდა მთის ბალახი _ ქუჩი, ხმელი წიფელი, შვლის ნუკრი...

1915 წელი, ისევ იცრემლება საქართველო, ცრემლად დასდის ნამი ტაძარს, საქართველო აკაკის ეთხოვება...

მთაწმინდაზე დაივანეს ოთხივემ: ილიამ, იაკობმა, ვაჟამ, აკაკიმ.

აღარ არის აკაკი წერეთელი, თუმცა, უკვდავია მისი თანმდევი სული, უკვდავია მისი "სულიკო". არა მარტო საქართველოში, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობს აკაკისეული სიტყვები:

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე... დაკარგულიყო!..
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
სადა ხარ ჩემო სულიკო?

მოგზაურობს "სულიკო" და როგორც ზეპარტიული ჰიმნი საქართველოსი, ჩვენი ერის მარადიულობაზე, აკაკის უკვდავებაზე, მის დიდებაზე მეტყველებს.

175 წელი სრულდება ამ დღეებში აკაკი წერეთლის დაბადებიდან.

# პოეზია

### აკაკის პორტრეტი

წარწერა წიგნზე აკაკი ბაქრაძე
"ილია და აკაკი". ავტორი
თავისუფლების ცეცხლი რომ
სწვავდა და გულში ღვიოდა,
მას, მირონცხებულ აკაკის
სახეზედ გადმოსდიოდა.
თავს დაიდგამს შარავანდედს
მისი სიტყვის ალმოსნობა,
"ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა",
ან აკაკის კალმოსნობა.
ხომ არასდროს დაივიწყებს,
მადლიერი მისი ერი,
ჩონგურს მარად ეყვარება
საქართველო მშვენიერი!
საქართველოს საამაყო,
ვაჟა ჰყავდა და ილია,
მაგრამ ლექსი აკაკისა,
აღმაფრენის წადილია.
საქართველოს, საქართველოს,
საქართველოს უძღვნა გული,
სამშობლოში პირველ პოეტს
დარდიც ჰქონდა დაფარული.
ყველა, ყველა, შეივედრა
კეთილი თუ უკეთური,
ვინ იყო სხვა ბედნიერი,
თანაც მასზე უბედური.
გამოსცადა ყველაფერი
მტერ-მოკეთის შური-მტრობა,
მასზე მეტად ვის შეჰფერის,
საქართველოს პოეტობა.
თვით სამშობლოს სადიდებლად
დაიფერფლეთ გული მისი,
აღარ უნდა ფიცი-მტკიცი,
არც არავის ღაღადისი.
და ვერც საწუთრომ დააშთო,
გულში რაც ვარდად ჰღვიოდა,
მას ჩვენი ყოფის ცრემლები
ღაწვებზე გადმოსდიოდა.

***მერაბ ჩაჩავა***

### ყველა არაადამიანს

ათასი ჭორით დამგესლეთ,
დამინთეთ შურის ხანძარი,
თუმც კაცი ჩოხოსანი ვარ,
წელზე მარტყია ხანჯალი.
ზოგი სიმღერას მიკრძალავს,
თუმც სალამურის ღერი ვარ,
ხელში მიჭირავს ფანდური,
საქართველოზე ვმღერივარ.
ვინ ლექსის წერას მიკრძალავს
და გული ბოღმით ევსება,
მაინც ხალხური მთქმელი ვარ,
იმრავლოს ჩემმა ლექსებმა.
ხატვას მიკრძალავს, ჩემს მიმართ
შხამი რომ უდუღს ვნებაში,
მაინც ცნობილი კაცი ვარ
სახვითი ხელოვნებაში.
ცხენოსნობაში ჯირითით
გული რომ მიჯერებია,
და უნაგირზე ტრიალით
მერნები მიჭენებია.
არაკაცებო ვერ მავნებთ,
თქვენი ჭორები მწირია,
ბრძოლაში მიწვევთ? მოვდივარ,
გაწყდეს იქ სადაც წვრილია!
ვერ გამაჩერებთ ათასჯერ,
გულში რომ დამკრათ ხანჯლები,
ლექსს დავწერ, ვხატავ, ვიმღერებ
ქვეყნისთვის დავიხარჯები.

***გივი ფრანგიშვილი***

### •••

"დღევანდელ მთავრობამ უგულველჰყო სამშობლოს ვალი,
რომ საყდრისის მკერდსშინ ველურად ჩაჰკლა წინაპართ კვალი,
"ხალხი-ხალხია", _ ნათქვამია, "სჭამს და სვამს თვალი",
უვიცთ ვერ მოჰკითხავ, _"ღმერთმა შეუნდო ცოდვა და ბრალი".
თუ-არ-ვსცავთ წარსულს, თვის წილ-საკუთრივს არსობასც ვჰკარგავთ,
რომე მმიღმგ-სულს _ ნამყოს მმყოფადს თუ ჰსშინჰგნივ არ ჰშთარგავთ,
ვვით ჰსნჯით "საწუთროს"?! _ "უსრულ განსაცდელ "ყოფითმმს" რრაი ჰმმკობს?!
ზღვას შემსდგარს წვეთოვან...უდღეურებით... ფუჭ-და-ამაო მცვალ-მიმომავალსთ
მწირი ბუნებით!...
"ვაი-რომ საგნად თავს ჰსშინვვე ვმმარხავთ, ყოფნა-არყოფნის" უაზრო შებრუნ-შემობრუნებით.

***ანზორ ზმანება***

### ქართული გენით ნასხივოსნები!

მსურს, სასიმღეროდ მოვმართო ჩანგი,
გამკობს აპრილის ყვავილთა ლხენა,
ამ გაზაფხულზე სიცოცხლის ჰანგი,
ლოცვით გაგათბობს, დედაო ენავ!
წარსული შენი ნარ-ეკლიანი,
უკვდავი ცრემლი, უფლის წყალობა,
სიტყვა სათუთი, ალერსიანი
ამ გულმა ლექსად შენ გიგალობა.
ფრთას გაშლის წლები _ მფრინავი რაში,
კვლავ მოგიძღვნიან ლექსებს მგოსნები,
იფარფატებენ რითმები ქარში,
ქართული გენით ნასხივოსნები!

***მალხაზ ნიკოლეიშვილი***

### შერიგება წარსულთან

თქვენ ღიმილით მოგვაწონეთ თავი,
სად მზე სულში დამკვიდრებას ითხოვს,
რომ ათასი გაზაფხულის დარი
გული მისთვის, ღვთისთვის გამოიხმოს.
გესმით, ღიმილს რა ხალისი ახლავს,
ოდეს სულში იხედება თითქოს,
არ ენდობა სული მზის გადახრას
და მანამდე გაბრწყინებას ითხოვს.
გესმის! ღიმილს სხვა ხალისიც ახლავს,
იგი სურვილს აუნთია ფიცხელს,
უჩვეულო გზებსაც გადალახავს,
როს წარსულთან შერიგებას იწყებს.

***დავით ჩირგაძე***

# იუმორი

### როგორ დავკარგე "განძი"

ერთხელ ჩემთვის მეტად საჭირო საქმისთვის წავედი ქუთაისის მხატვართა კავშირში. სიმართლე გითხრათ, ბევრი კი ვიწვალე ამ საბუთის მისაღებად. ხან დირექტორი არ იყო, ხან მბეჭდავი და ა.შ. ერთ დღეს გამიმართლა და საქმე გაკეთდა. ეს იყო თხოვნა, სამტრედიის რაიონის გამგებლის სახელზე, რათა ჩემი შემოქმედებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში დამხმარებოდა. კერძოდ, საღებავებისა და ფუნჯის შეძენაში, პერსონალური გამოფენის მოწყობაში. როგორც იქნა დიდი ხნის ოცნება ამიხდა და საბუთი ხელთ მქონდა. იგი ლამაზად დავახვიე და რბილად დავიჭირე ხელში. გახარებული წამოვედი სახლში. ავტოსადგურში მომშივდა და იქვე სასაუზმეში შევედი. მაგიდაზე მაღალ ჭიქაში ხელსახოცები იყო. ამოვალაგე და ჭიქაში ჩემი ძვირფასი "განძი" ჩავდე. სადილის შემდეგ ხელსახოცით ხელი გავიწმინდე, მერე ონკანთან მივედი, ხელები დავიბანე და ის იყო წამოსვლას ვაპირებდი, შევხედე, ჩემს მაგიდასთან ვიღაც კაცი მოთავსებულიყო და ჩემს საბუთზე გულიანად იწმენდდა ხელებს. ვიყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა და სასაუზმედან ლასლასით გამოვედი.

### აუხდენელი "ვიზიტი" მაგადანში

პირველად ცალხელა კაცი რომ ვნახე, ვიქნებოდი ასე 7-8 წლის. ვიქტორა ფრანგიშვილის შვილი, უშანგი მაგადანიდან იყო ჩამოსული და მას ახლდა რუსი ვეტერანი. თეთრი პიჯაკი ეცვა, ცალი ხელის სახელო ზემოთ ჰქონდა აწეული და დამაგრებული. ფილმი "გიორგი სააკაძე" ახალი ნანახი მქონდა და მეგონა, რომ ისეთ ომში იბრძოდა ეს კაცი, მაგრამ მიკვირდა, ცალ ხელში თუ ხმალი უჭირავს ფარს როგორღა იყენებს-მეთქი. გადავწყვიტე, ამ კაცისთვის მიმებაძა. ცალი ხელი პერანგის შიგნით ქამრით მივიკარი ტანზე. ცალ ხელში კი ჯოხი დავიკავე და გააფთრებით დავუწყე ბრძოლა მესრებს. ამ ამბავში ვიყავი, როცა ვიღაც წარმოსადეგ მამაკაცს შევეჯახე. გაკვირვებულმა კაცმა მკითხა, ვისი შვილი ხარო, ფრანგიშვილი ვარ-მეთქი ვუპასუხე. თავზე ხელი გადამისვა, ჯიბიდან სამმანეთიანი ამოიღო და მომცა. მე ვიფიქრე, ალბათ მამა რომ არ მყავს ფულს იმიტომ მაძლევს-თქო. თავის სახლში წამიყვანა, კანფეტები და ბურთი მომცა. მე ყველაფერს ერთ ხელში ვერ ვიჭერდი და საცოდავად ვფორხილობდი. კაცმა სინანულით შემხედა და თქვა: რა პატარაა და ცალხელაო. მე კი მკვირცხლად ვუპასუხე, არა ბიძია, ორივე ხელი მაქვს-მეთქი. უნდა გენახათ იმ კაცს თვალები, როგორ გაუფართოვდა და მითხრა, როგორ მომატყუე, შე ეშმაკო, მაგადანში შენი ადგილიც აუცილებლად მოინახებაო.

### "კასტილებიანი" ლამაზმანი

მე და ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება, ბატონი ნუგზარი, ერთად ვისვენებდით გაგრაში. არც რუს ქალბატონებთან ფლირტზე იტყოდა უარს. ერთმანეთს ქულებით ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მეტ ქალს "შეაბამდა". მე ნუგზარზე მეტი ქულა მქონდა. სასადილოში, ჩვენს გვერდით მაგიდასთან ომის ვეტერანი იჯდა. ერთ დღეს ომის ვეტერანის ნაცვლად ლამაზი ქალბატონი დაგვიხვდა, რომელსაც ვარდისფერი კაბა ეცვა, თმა გაშლილი ჰქონდა და ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა. ნუგზარი თვალმოუცილებლად უყურებდა ქალს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მითხრა, ჩემს სასარგებლოდ ქულები გაიზარდაო. ეს თქვა და ქალის მაგიდისაკენ წავიდა, მცირე საუბრის შემდეგ ისევ ჩვენს მაგიდასთან დაბრუნდა და განმიცხადა, ხვალ 6 საათზე უნდა შევხვდეთ რიცაში მივდივართო. მეორე დღეს მთელი 2 საათი სარკესთან გაატარა ჩემმა მეგობარმა, ბოლოს კი როგორც იქნა, თავისი თვალის ფერის შესაფერი ცისფერი პერანგით შეიმოსა და წასასვლელად მოვემზადეთ. დათქმულ ადგილას მივედით. ჩვენს დანახვაზე ნუგზარის "რჩეულმა" ქალბატონმა "კასტილებს" წამოავლო ხელი და მანქანისაკენ გამოეშურა. გაოცებისაგან ყველას პირი დაგვრჩა ღიად. რესტორანში წავედით, კარგადაც მოვილხინეთ, მაგრამ ანგარიში აუცილებლად მაინც ჩემს სასარგებლოდ დარჩა.

### ბომბარდირიც ამას ჰქვია

დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის დარბაზში ბიჭებმა შეჯიბრი ჩავატარეთ მინი ფეხბურთში. საუკეთესო გოლისათვის პრემია იყო დანიშნული. ანგარიში 1:1 იყო, როცა მოწინააღმდეგის კართან კუთხური დაინიშნა. ყოველთვის ქუდს ვატარებდი და თამაშის დროსაც არ მიღალატია ამ ჩვევისთვის. ვდგევარ კარის წინ. დარტყმული ბურთი თავში მომხვდა, მე ინსტიქტურად თვალები დავხუჭე, ბურთი ბადეში გაეხვია. როცა თვალი გავახილე, ტაშითა და ყიჟინით დარბაზი ინგრეოდა, ფეხბურთელები სიხარულით მეხვეოდნენ. ასე მივიღე პრემია საუკეთესო გოლისთვის.

### როგორ ვაჯობე საკუთარ ცხენს

კარგი ცხენი მყავდა. ნიძლავი დავდე, რომ მანქანის წინა ცხვირს გადაახტებოდა ჩემი ცხენი. მანქანა დავაყენეთ. ცხენზე შევჯექი და ნიძლავის შესასრულებლად მოვემზადეთ, მაგრამ ჩემი ცხენი უცებ შეჩერდა, მე თავი ვეღარ შევიკავე და მანქანის ცხვირს გადავუფრინე. არ ვიცი, ცხენმა რა იფიქრა, მაგრამ უეცრად ისიც უკან მომყვა და ნიძლავი მოვიგეთ კიდეც. რა მნიშვნელობა ჰქონდა, მანქანის ცხვირს მე და ჩემი ცხენი ერთად გადავახტებოდით თუ ცალ-ცალკე.

**გივი ფრანგიშვილი**

# თამაზ ხაფავა 60 წლისაა



საოცრად შრომისმოყვარეა, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული. შედეგები? ნამდვილად საამაყო, მაგრამ ყოფილ, თუ ამჟამინდელ შეგირდთა მიღწევებში საკუთარ წვლილზე ნაკლებად საუბრობს.

დღეს იმ კაცზე ვწერთ, მთელი ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს რომ მიუძღვნა და სამტრედიაში დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა.

ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბატონმა თამაზ ხაფავამ, როგორც მწვრთნელ-მასწავლებელმა, არაერთხელ განიცადა აღსაზრდელთა, თუ აღზრდილთა მიღწევებით გამოწვეული სიხარული...

1990 წელი, ამიერკავკასიის რკინიგზის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც მთლიანად სამტრედიელი კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული, საკავშირო პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ირაკლი ხოშტარია ნაკრების საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, იგი შემდეგ ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების წევრი გახდა.

კახაბერ შენგელია ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გახდა ევროპის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, მომდევნო წლებში იგი ევროპის სხვადასხვა საკალათბურთო გუნდებში თამაშობდა.

ასევე ახალგაზრდულ და ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში და საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ: ფობი მინაშვილი, შალვა კოხრეიძე, ლევან კიკაბიძე, დავით ლასარეიშვილი, ზვიად ჩაჩუა, თემურ ბურკაძე და სხვები.

ამ უკვე ტიტულოვან სპორტსმენთა გვარ-სახელების ჩამოთვლა და იმის აღნიშვნა, რომ მათი მწვრთნელ-მასწავლებელი სწორედ ბატონი თამაზ ხაფავა გახლავთ, ბევრის მთქმელია.

ამჟამად ევროპის ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად (საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში) ემზადებიან 1999 წელს დაბადებული ზაურ ჯანელიძე და 2000 წელს დაბადებული ვიქტორია გეგეშიძე. ისინი ივლისში მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ ოლიმპიადაზე. ვიმედოვნებთ, სპორტსმენები წარმატებით იასპარეზებენ და ოჯახთან ერთად საყვარელ მწვრთნელს და რაიონსაც ასახელებენ.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, არის ასეთი გამონათქვამი, ორიოდე თვის წინ ბატონი თამაზ ხაფავა იუბილარი გახლდათ, 60 წელი შეუსრულდა მას.

ღირსეულ იუბილეს ვულოცავთ ბატონ თამაზს, მზეგრძელობას ვუსურვებთ, კვლავაც მრავალჯერ დაეპყროთ მწვერვალები მის აღსაზრდელებს.

**ლევან გაბეჩავა**

## ელგუჯა სულავა



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღანირის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ელგუჯა სულავა.

წავიდა ჩვენგან ყველა ღანირელისთვის საყვარელი ადამიანი და თან გაიყოლა ერთადერთი, 21 წლის ვაჟკაცის გარდაცვალებით გამოწვეული დიდი ტკივილი, რომელსაც ჩუმად, უსიტყვოდ ატარებდა გულით, ყველა თაობისთვის საყვარელ მეუღლესთან, პედაგოგ ქალბატონ თინა ნუცუბიძესთან ერთად.

თქვენი გარდაცვალებით დამთავრდა ერთი ლამაზი ოჯახის ისტორია სოფელ ღანირში, რომელსაც გულისტკივილითა და ცრემლების გარეშე ვერავინ გაიხსენებს. მაგრამ გვჯერა, რომ თქვენს ფუძეს არასოდეს დაერქმევა ნასახლარი და თქვენს ტრადიციებს თავისი ლამაზი ოჯახით გააგრძელებს თქვენი ერთადერთი ქალიშვილი ჟანა.

იძინეთ მშვიდად, ჩვენო უსაყვარლესო ელგუჯა მასწავლებელო, სამარადისოდ გაგინათოთ სასუფეველი ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა ღანირის წმინდა გიორგის ტაძრის სასაფლაოზე.

**ღანირის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი**

## კალათბურთელ გოგონათა წარმატება

ერთ თვეს მიმდინარეობდა ზესტაფონში კალათბურთელ გოგონათა ტურნირი ოთარ (მეობა) სულაბერიძის სახელობის იმერეთის გარდამავალ თასზე.

ტურნირში 6 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის გახლდათ სამტრედიის მეთორმეტე საჯარო სკოლის ბაზაზე დაკომპლექტებული კალათბურთელ გოგონათა გუნდი, რომელსაც ენთუზიაზმზე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე წვრთნის ბატონი თამაზ ხაფავა _ ცნობილი მწვრთნელ-მასწავლებელი, ამავე სკოლის სპორტის პედაგოგი.

პირველი ადგილი ზესტაფონის, მეორე სამტრედიის კალათბურთელ გოგონათა გუნდს, ხოლო მესამე ადგილი ქუთაისის გუნდს ხვდა წილად.

ვულოცავთ გოგონებს, მათ მწვრთნელს წარმატებულ ასპარეზობას, ვიმედოვნებთ ყოველივე ბიძგი იქნება ახალი, სამომავლო მიღწევებისაკენ.

**ლევან გაბეჩავა**



ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

**ნინა კოპალეიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლობა ეწრის თემში იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

**ნინა კოპალეიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

**ამბროსი ჭორჭოლიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ავთანდილ ტორონჯაძის გახსენება

სულ ახლახან წახვედი ჩვენგან, უზომოდ ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი. საუკეთესო მეუღლე, მზრუნველი მამა, უსაყვარლესი ბაბუა იყავი.

გვაკლიხარ და უფალს ვევედრებით, ნათელში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული.

**შვილები ოჯახებით**



## საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულნი

2015 წლის 29 მაისიდან 31-ის ჩათვლით თურქეთის ქალაქ იზმირში ჩატარდა მაჰმუტ აგალაის და იაშარ ერკანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირში წარმატებულად იასპარეზეს ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ ''ფალავანის'' (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა.

ივერი ჯულაყიძე (69 კილოგრამ წონით კატეგორიაში), დემურ მეგენეიშვილი კი 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. ივერისა და დემურის არაერთხელ გაუხარებიათ გულშემატკივრები და ამჟამადაც წარმატებულად იასპარეზეს. ივერი ჯულაყიძემ მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა, დემურ მეგენეიშვილმა კი ფინალური ორთაბრძოლა ანგარიშით 8 : 7 დათმო და მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდა.

''76 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენი ფალავანი, დემურ მეგენეიშვილი ფინალში თურქ მოჭიდავეს დაუპირისპირდა და რომ არა მსაჯთა არაობიექტური გადაწყვეტილება, დემურ მეგენეიშვილი ჩემპიონი იქნებოდა'' – გულისტკივილით აღნიშნა ჩვენთან საუბარში მოჭიდავეების მწვრთნელმა ვეფხია სტურუამ.



ვულოცავთ წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელებს, ვეფხია და ლაშა სტურუებს მიღწეულ წარმატებას და მათ მოსწავლეებს ვუსურვებთ უახლოეს მომავალში ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე საქართველოს დროშა ეროვნული ჰიმნის ფონზე აეწიოთ, მათი ბრწყინვალე გამარჯვებით ჩვენც გვეხაროს.

უნდა ითქვას ისიც, რომ მიმდინარე წელს ეს უკვე მეოთხე საერთაშორისო ტურნირია, საიდანაც უმედლოდ არ დაბრუნებულა ეს სპორტსმენები. მათ ამ წარმატებებს ''სამტრედიის მაცნე'' ეტაპობრივად აშუქებდა.

**ნათია ნაცვლიშვილი**

ბატონ საშა ლეჟავას!

ქართული ფოლკლორის მეხოტბევ,
სიმღერით წლები გათელე,
კაცური კაცის ნამუსით
დაღამებული ათენე.
შენს გაკეთებულ კარგ საქმეს
ორიოდე სიტყვით რა აწონის,
დაბადების დღეს გილოცავთ,
ჯანმრთელად იყავ მრავალ წელს!



## გიწვევთ ამერიკული სკოლა!

1 ივლისს, დაბა ბაკურიანში, სასტუმრო ''თეთრ სახლში'' იხსნება ამერიკული სასწავლო-გასართობი ბანაკი ''ამერიკული ბანაკი''. ბანაკში ჩვენი ასოციაციის წევრები, FLEX პროგრამის კურსდამთავრებულები ჩაატარებენ ინგლისური ენის ტრენინგებს. ინგლისური ტრენინგის ორ სესიას ჩაატარებს ამერიკელი ვირჯინია ჰოლმსი. ასევე ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, მეტი გაიგონ შემდეგ თემებზე: მიგრაცია საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით, ახალგაზრდული გაცვლითი პროექტები. გაიმართება დებატები, დისკუსიები, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, განავითარონ ანალიტიკური აზროვნების უნარი, დაეუფლონ დებატების ხელოვნებას.

ახალგაზრდებს გამოცდილი ტრენერ-ჟურნალისტები ჩაუტარებენ ტრენინგებს ''პროექტების წერა'' და CV შედგენა, კომუნიკაცია და ლიდერობა. მოეწყობა გასართობი ღონისძიებები, დისკოთეკა, ქართულ-ამერიკული კულტურის საღამოები, ტალანტ-შოუ და ბანკეტი. ბანაკის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატები.

ბანაკის ხანგრძლივობაა 10 დღე (9 ღამე), იქნება სამჯერადი კვება (შვედური მაგიდა) და 2 ყავის შესვენება. ბანაკში შეუძლიათ 7-12 კლასის მოსწავლეებს. სასწავლო პროცესს აფინანსებს ''რეგიონული განვითარების რესურსცენტრი'', ხოლო ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯები შეადგენს 500 ლარს. ჯგუფის დაკომპლექტება დაწყებულია, ასე რომ, სურვილის შემთხვევაში იჩქარეთ და დაუკავშირდით სოფო კირთაძეს (595 33 91 81).

**ქალბატონ ნათელა გელეიშვილს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო ქალბატონო. უამრავი ადამიანის სიყვარულსა და პატივისცემას იტევს თქვენი უზომოდ კეთილი გული. გული, რომელიც სხეულთან ერთად ბოლომდე ინარჩუნებს სიმხნევეს, მშვენიერებას და დიდბუნებოვანობას.

გისურვებთ, მომავალშიც არ მოგკლებოდეთ ახალგაზრდული შემართება, მხნეობა, ჯანმრთელობა. სიყვარული და პატივისცემა, მტკიცედ გვჯერა, მომავალშიც ულევი გექნებათ.

***''სამტრედიის მაცნე''***



## მინი ფეხბურთის საკვალიფიკაციო ტურნირი

27 მაისს დაიწყო და 7 დღის განმავლობაში გრძელდებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის საკვალიფიკაციო, შესარჩევი ღია ტურნირი მინი ფეხბურთში 2003-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში სკოლის მწვრთნელების: გივი პაპავას, ნიკოლოზ ჭიქაშუას, დურმიშხან თვალაბეიშვილის, ნოდარ ჩიგოგიძის, გია ბენდელიანის, ლერი მეგენეიშვილის, ვლადიმერ ქანთარიას და ოთარ ლომსაძე-სერგო ერქვანიძის შვიდმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. კენჭისყრის შემდეგ დაიწყო შეხვედრები წრიული სისტემით ერთ წრედ.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრები ძალზე საინტერესოდ წარიმართა და თავიდანვე გამოიკვეთა პერსპექტიული, გამარჯვებაზე ორიენტირებული მწვრთნელების გუნდები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბოლო დღემდე არ გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. 4 ივნისს კი ლომსაძე-ერქვანიძის გუნდმა 2 : 0-ით დაამარცხა მეგენეიშვილის გუნდი და 18 ქულით დამსახურებულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონობა, მეორე ადგილზე 15 ქულით გავიდა ნოდარ ჩიგოგიძის გუნდი, ხოლო მესამეზე 12 ქულით ლერი მეგენეიშვილის გუნდი. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ კომპლექსური სპორტული სკოლის მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრები და შესაბამისი ხარისხის სიგელები. ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ ასევე ნომინაციებში დასახელებული საუკეთესო ფეხბურთელები, კერძოდ, საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ნ. ჩიგოგიძის გუნდის წევრს ამირან სულაბერიძეს, საუკეთესო დამცველის, გივი პაპავას გუნდის წევრს, საბა ახალაძეს, საუკეთესო თავდამსხმელისა და ფეხბურთელის პრიზები გადაეცათ ლომსაძე-ერქვანიძის გუნდის წევრებს გიორგი პირტახიასა და საბა დარჯანიას, ხოლო საუკეთესო ბომბარდირის 17 გატანილი გოლით დაჯილდოვდა ლ. მეგენეიშვილის გუნდის წევრი სერგი ბაბუნაშვილი. შეჯიბრების მსვლელობას და დაჯილდოვების ცერემონიალს ესწრებოდნენ რაიონის გამგეობის ხელმძღვანელები.

***რამაზ თელია***
***კომპლექსური სპორტული სკოლის კოორდინატორი***

**ბატონ ანზორ ხარებავას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, მხეგრძელობას, ბედნიერებას გისურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

***ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი***

**ბატონ საშა ლეჟავას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა გაგაძლიეროთ კეთილმსურველთა გასახარად.

***ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი***

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა